საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 26 თებერვალი, 2014 წელი.

№40 (7421)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდეური სიფცეა, ფცეულებით და ჯარებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ამაზრზენი ნაციონალების ოინები ④ გრძელდება

ეს რა ხდება, ეს რა გვესმის!..

ეკონომიკურ-მორალური აჯაფსანდალი

„ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხელმძღვანელობა დღემდე ურიცხავს კეზერაშვილს თანხებს“... ⑤

რიგითი დამნაშავის ძველი ცოდვები

- ყურებჩამოყრილი გნაცები ②
- „გაყოჩალებული“ ოცნებისტები
- ხატზე დაიფიცებ, ხატიაშვილო?

თედო ჯაფარიძე:

გადაჭრით ვერავინ იტყვის, რომელმა ძალამ გაიმარჯვა უკრაინაში ③

ანდრეი პიონტკოვსკი:

საქართველოს შემდეგ - უკრაინა, უკრაინის შემდეგ – ბალტიის ქვეყნები ⑧

SIC! მობილური სიგარეტზე საშიშია

⑨

გაჭირვება მაჩვენე და... ქუთაისიდან

გოგი ჭიჭინაძის გაქცევას გაჩვენებო! ⑦



კონფლიქტის ზონა

ცხინვალთან ახლოს ქართულ სოფლებში გლეხები ხეხილს ჭრიან ⑥

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ბარაკ ობამამ საქართველო დააფასა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილისა და აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას ვაშინგტონში გამართულ შეხვედრას თეთრი სახლი ეხმაურება.

როგორც თეთრი სახლის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, აშშ-ის პრეზიდენტმა და ვიცე-პრეზიდენტმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ქვეყანაში პირველი მშვიდობიანი და ხელისუფლების დემოკრატიული გზით გადაბარების წარმატებით დასრულება მიულოცეს.

ამასთან, აშშ-ის პრეზიდენტმა და ვიცე-პრეზიდენტმა მოუწოდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, რომ თანამშრომლობა გააგრძელოს საქართველოს ყველა ლიდერთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან კანონის უზენაესობის განმტკიცებისა და საქართველოს მნიშვნელოვანი დემოკრატიული მიღწევების კონსოლიდაციისთვის.

თეთრი სახლის ინფორმაციით, აშშ-ის ხელისუფლებამ მადლობა გადაუხადეს საქართველოს ღირსეული მეგობრობისა და საიმედო პარტნიორობისთვის, რაც შეერთებული შტატებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რეგიონული და გლობალური პრიორიტეტების მხარდაჭერაში გამოიხატება.

ამასთან, აშშ-ის პრეზიდენტმა მადლიერება გამოხატა ავღანეთში, ნატოს მისიაში საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილისთვის და პატივი მიაგო ქართველი სამხედროებისა და მათი ოჯახების მიერ გაღებულ მსხვერპლს.

თეთრი სახლის ინფორმაციით, პრეზიდენტმა და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განიხილეს აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის განმტკიცების შესაძლებლობა, მათ შორის სავაჭრო და საინვესტიციო კავშირების ზრდა ორი ქვეყნის ეკონომიკებს შორის.

— აშშ-ის პრეზიდენტმა და ვიცე-პრეზიდენტმა დაადასტურეს ძლიერი მხარდაჭერა საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი ტერიტორიული მთლიანობისადმი მის საერთაშორისო აღიარებულ საზღვრებში. მათ დაარწმუნეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, რომ აშშ მხარს უჭერს ქართველი ხალხის ევროატლანტიკურ მისწრაფებას და დაპირდნენ, რომ აშშ-ი გააგრძელებს საქართველოს ახალი მთავრობის დახმარებას პოლიტიკური, ეკონომიკური და თავდაცვის სფეროში რეფორმების განხორციელებაში, — ნათქვამია თეთრი სახლის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ინტერპრესი

◎ პოლიტწკიპურტები

ყურებჩამოყრილი გნაცები

როგორც ჟარგონით იტყვიან, მაგარ გატეხილში იყვნენ გუშინ გნაცები. ალბათ, რას არ მისცემდნენ, ოღონდ კი ბარაკ ობამა არ შეხვედროდა აშშ-ში ოფიციალურ ვიზიტად მყოფ საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

აუჰ, რა ჟივილ-ხივილს ატეხდნენ მაშინ გახარებულნი — აი, ხომ ხედავთ, უკმაყოფილოა ამერიკის პრე-

ზიდენტი ჩვენი მთავრობის მუშაობით და არც შეხვდა ირაკლი ღარიბაშვილსო. იმას კი არც გაიხსენებდნენ, ობამას თავისი პრეზიდენტობის პირველი ვადის განმავლობაში ერთხელაც რომ არ მიუღია სააკაშვილი, ხოლო, როდესაც ამერიკაში თვეზე მეტი ხნის მანძილზე ყურყუტის შემდეგ, როგორც იქნა, პატივი რომ დასდო და ისტუმრა იგი, გადაჭრით უთხრა, მშვიდობიანად გადააბარე ხელისუფლებაო.

დიდი მადლობა მას ამისთვის!

და კიდევ უფრო მეტად ვიქნებით მადლიერი, თუ იმასაც გააკეთებს, რომ მისი მეშვეობითაც „მოშპინდილებული“ მანამდე ჩვენთვის მოუშორებელი ეს ჟირი მომავალში მაოხრებელ გზირადაც არ გვექცევა!

მაინც რაში შეატყვე გნაცმოძრაობელებს ყურებჩამოყრილობაო, მეკითხებით?

ამის მეტი დასტურა რა გინდათ, თქვე კარგი დედმამის შვილებო, როდესაც მუდამ „ენაწყლიანი“, ერთთავად „უწერტილმძიმოდ“ მოლაქლაქე დავით ბაქრაძემ ისღა ამოილუღლუღა, მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს ობამას ნათქვამი ყველა პოლიტიკურ ძალასთან თანამშრომლობის თაობაზეო **(ჩვენი მთავრობა თუ გნაცმოძრაობასთან არ თანამშრომლობს, არ ყოფილა**

საშველი! ის კი არა, მე თუ მკითხავთ, მეტისმეტადაც თანამშრომლობს, თორემ გნაცმოძრაობას მთავრობასთან თანამშრომლობის ნაცვლად პროკურატურა-გამოძიებასთან ექნებოდა სათანამშრომლო!).

ვერც გიგა ბოკერია იყო სიტყვაუხვი — თავისუფალი ვაჭრობა არ უხსენებიათო, თქვა, რაკი ვერაფერი მოძებნა საკრიტიკო.

იქნება, ვაჭრობაც იქნება, გიგილო!

ოღონდ, მთავარია, ქვეყნის ინტერესებით არ ვივაჭროთ და გნაცური წინდაუხედაობა-ავანტიურიზმით კვლავაც საფრთხეში არ ჩავაგდოთ იგი!

„გაყოჩაღებული“ ოცნებისტები

გაჭირვება **მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო, რომ არის ნათქვამი, სწორედ ისე მოუვიდათ „მეოცნებეებს“. ბევრს, მეტისმეტად ბევრს ითმენდნენ, კოაბიტაციასაც ლამის შეაბოჭ-შეაჭმევინეს თავი, და ამით არჩევნების წაგებითა და ნაქმნარ-ნაავკაცარის გამო მოსალოდნელი საკადრისი სასჯელის შიშით დაზაფრული გნაცებიც წამოაყელყელავეს, მაგრამ, როდესაც თავიანთი ერთ-ერთი აქტიური ოპონენტის გადაწყვეტილების თაობაზე შეიტყვეს, იძულებით გაყოჩაღდნენ და ამოძრავდნენ.**

ანკი სხვა რა გზა ჰქონდათ: გიორგი ონიანს თურმე აქტიურ პოლიტიკაში ჩაბმა გადაუწყვეტია — **ვაზისუბანში უნდა ვიყარო კენჭი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისასო.**

თუ ნააზრევი ხორცს შეისხამდა, ეს ფაქტი უკვე „ქართული ოცნების“ დასასრულის დასაწყისი იქნე-

ბოდა უთუოდ, რადგან ფაქტია, რომ ღონიანი **ონიანი ვაზისუბანში კი არა, თბილისის ნებისმიერ უბანში და, გნებავთ, ქვეყნის ნებისმიერ მხარეშიც ნებისმიერ არჩევნებში გაიმარჯვებს!**

ეს კი უთუოდ პოლიტიკური კრახის დასაწყისი იქნებოდა მისი ოპონენტებისთვის.

ისინიც პრაქტიკულ ქმედებაზე გადავიდნენ — დაკავეს ონიანი!

ახლა პირს კი იწმენდენ და ამტკიცებენ, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების, სამსახურებრივი სიყალბისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ მტკიცებულებების ფალსიფიკაციის, განზრახ უკანონო დაკავების ფაქტზე დავაკავეთო, მაგრამ ამას ჭამდა გონებაგამჭრიახი ადვოკატი ონიანი?

არც ჭამა გიორგიმ — პოლიტიკაში ჩაბმის გადაწყვეტილების გამო დამაპატიმრესო, უთხრა ჟურნალისტებს დაკავებისთანავე.

გულს ნუ გაიტეხ, გიორგი, თუ სასჯელს ვერ გადაურჩი, პოლიტპატიმრის სტატუსი ხომ მოგანიჭეს უკვე გნაცელებმა!

ხატზე დაიფიცებ, ხატიაშვილო?

ერთ-ერთი **პირველი, ვინც ონიანის დაკავებას ხმალამოღებული შეეწინააღმდეგა, ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი ზაზა ხატიაშვილი იყო.**

— ადვოკატი ონიანი პოლიტიკური მოტივით არის დაპატიმრებული, რაც მიზნად ისახავს საადვოკატო საქმიანობიდან მის ჩამოცილებას და ადვოკატის ინსტიტუტის დაშინებას, რის გამოც სრულიად ევროპის ადვოკატთა ასოციაციას ფეხზე დავაყენებო! — თქვა.

ღმერთი არა გწამს, ხატიაშვილო? რამე რომ იყოს, ხატზე დაიფიცებ, მართალი ვიყავი, როცა ამას ვამტკიცებდი და არაფერი არ ვიცოდი იმაზე, რისთვისაც დააპატიმრეს სინამდვილეში ჩემი „კოლეგაო“?

ეს სიტყვა ბრჭყალებში იმად ჩავსვი, რომ სინამდვილეში ონიანისთვის ადვოკატობა, ისევე როგორც პოლიტიკაში ჩაბმის მცდელობა, უთუოდ ერთგვარი ინდულგენციის მოპოვების სურვილი უფრო იყო, ვიდრე მოწოდება და საყვარელი საქმიანობა.

არ იცოდი ეს? ის ფოტოკადრები მაინც არ გინახავს, რომლებზეც ასახულია მიტინგის დამრბევი თუ ცალკეულ მომიტინგეთა „დამლილავებელი“ „სამართალდამცავი“ ონიანი?

ახლა კი ამტკიცებ, მე მხოლოდ მისი დაკავების ფორმა და მეთოდები გავაკრიტიკეო, მაგრამ კვლავ გაგიმეორებ — რამე რომ იყოს, ხატზე დაიფიცებ, ერთგვარად გნაცთა დუდუკზე აცეკვებულო ხატიაშვილო, მართალი ვარო?

რუსლან რუსია

◎ ტკივილი

ხოჯალის ტრაგედია

1992 წლის 25-26 თებერვლის ღამე შავი ასოებით ჩაიწერა აზერბაიჯანელი ხალხის ისტორიაში. იმ ღამით სომხეთის შეიარაღებულმა ფორმირებებმა 366-ე მოტომსროლელი პოლკის სამხედროების მონაწილეობითა და ჯავშანტექნიკის გამოყენებით, რომლებიც სსრკ-ს დროიდან ქალაქ ხანკენდში იყო დისლოცირებული და რომლის სამეთაურო და პირადი შემადგენლობის მნიშვნელოვან ნაწილს სომხები შეადგენდნენ, მიწასთან გაასწორეს ქალაქი ხოჯალი.

ხოჯალის მოვლენები არ იყო მხოლოდ სისასტიკე აზერბაიჯანელი ხალხის მიმართ, არამედ ეს იყო სისხლიანი დანაშაული კაცობრიობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ. სომეხ ნაციონალისტთა მხრიდან, რომლებიც „დიდი სომხეთის“ შექმნის აგონიური იდეის ტყვეობაში იმყოფებოდნენ, აზერბაიჯანელი ხალხის წინააღმდეგ განხორციელებულ ამ მორიგ ჟლეტას 613 ადამიანი შეეწირა, მათ შორის 106 ქალი, 63 ბავშვი და 70 მოხუცი. ერთ ღამეში მთლიანად ამოწყდა 8 ოჯახი, 25 ბავშვი უდედმამოდ დარჩა. ტრაგიკული მოვლენების შედეგად დაიჭრა 487 ადამიანი, 1275 მშვიდობიანი მოსახლე ტყვედ აიყვანეს, 155 ადამიანის ბედი დღემდე უცნობია. გენოციდის აქტის დროს განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდნენ და მოკლეს 56 ადამიანი, ცოცხლად დაწვეს 3 კაცი, გვამებს სკალპი ახადეს, ანაწევრებდნენ სხეულებს, კვეთდნენ თავებს, თხრიდნენ თვალებს, ფეხმძიმე ქალებს კი მუცელში შუბს უყრიდნენ.

ეს იყო წინასწარ დაგეგმილი ქმედება, რომლის მიზანს წარმოადგენდა ეროვნული ნიშნით ადამიანების სრული ან ნაწილობრივი ჟლეტა, ამიტომ საერთაშორისო სამართლის თანახმად, ხოჯალის ტრაგედია სწორედ რომ გენოციდია.

აზერბაიჯანის მაშინდელმა ხელისუფლებამ არაფერი მოიმოქმედა იმისათვის, რომ ამ საშინელ ქმედებას პოლიტიკური შეფასება მისცემოდა და სისხლიანი ანგარიშსწორების შესახებ ობიექტური ინფორმაცია მსოფლიო საზოგადოებისათვის მიეწოდებინა. და მხოლოდ აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ, ამ სისხლიან ტრაგედიას პირველად მიეცა პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება.

1994 წელს ჰეიდარ ალიევის ინიციატივით, აზერბაიჯანის პარლამენტმა 26 თებერვალი ხოჯალის გენოციდის დღედ გამოაცხადა.

დღეს აზერბაიჯანის ხელისუფლება მიზანმიმართულ და თანამიმდევრულ საქმიანობას აწარმოებს, რათა მსოფლიო საზოგადოებამ სიმართლე გაიგოს ხოჯალის ტრაგედიის შესახებ, მისი გენოციდად აღიარებისათვის. ეს ჩვენი მოქალაქეობრივი და ადამიანური ვალია ხოჯალელი შაჰიდების წინაშე.

ყოველწლიურად ამ საშინელ ტრაგედიას ტკივილით აღნიშნავენ როგორც აზერბაიჯანის მოქალაქეები, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები და სხვები, მეგობარი ერების წარმომადგენლები. ამ დღეებში, მსოფლიოს თითქმის 60 ქვეყანაში მოიგონებენ და პატივს მიაგებენ ხოჯალის ტრაგედიის მსხვერპლთ, ტარდება მიტინგები და პიკეტები, ხდება იმდროინდელი საშინელი მოვლენების ამსახველი ფილმების ჩვენება და ფოტოების გამოფენა. მსოფლიოს გავლენიან გაზეთებში იბეჭდება სტატიები, ტელევიზიებითა და რადიოთი მასალებს გადაცემებს ტრაგიკული მოვლენების შესახებ.

აზერბაიჯანის საელჩო საქართველოში.
ქ. თბილისი.

◎ შეფასება

თედო ჯაფარიძე: გადაჭრით ვერავინ იტყვის, რომელმა ძალამ გაიმარჯვა უკრაინაში

თუ რა მოხდა უკრაინაში, ამას სახელს ისტორია დაარქმევს, მაგრამ ამ გადასახედიდან ჩანს, რომ „ახლა იწყება თავდავიწყება“. წინ ძალიან საინტერესო მოვლენები გველოდება. ალბათ, ამიტომაც არის, რომ შეფასებების გაკეთებას არ ჩქარობს საქართველოს ხელისუფლება და ოპოზიციისგან, კონკრეტულად ნაციონალური მოძრაობის ლიდერებისგან განსხვავებით, ძალიან ფრთხილობს.

ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს თედო ჯაფარიძეს.

— ბატონო თედო, თქვენ როგორ უყურებთ უკრაინაში განვითარებულ პროცესებს და რა შეფასებას გააკეთებთ?

— უკრაინაში ჯერ კიდევ რთული ვითარებაა. ჩემი აზრით, იქ პროცესები არ დამთავრებულა. ვერ გეტყვით იმასაც, შეიცვალა თუ არა მთავრობა ძირეულად, მაგრამ თვით პროცესები, რომელიც შეეხება ქვეყნის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას, მაიდანის გადაწყვეტილებაზე არ არის დამოკიდებული. არც იმ გადაწყვეტილებაზე, რაც შესაძლოა, მიეღო იანუკოვიჩს. ჩვენ ახლა ამაზე კი არ უნდა გავამახვილოთ ყურადღება, არამედ უკრაინის გარეთ მიმდინარე პროცესებზე.

— ანუ, თქვენ გულისხმობთ იმ საგარეო ფაქტორს, რომელიც უკრაინასთან დაკავშირებით მიმდინარეობს?

— რა თქმა უნდა. როგორც ვიცი, აქტიურად არის ჩართული ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი. თუკი კარგად დავაკვირდებით, არა მხოლოდ რუსეთსა და ევროკავშირს შორის არის უთანხმოება რიგ საკითხებთან დაკავშირებით, არამედ აზრის სხვადასხვაობაა თვით ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორისაც. ამიტომ უნდა დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას. ამავე დროს ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ვითარება წარიმართოს მშვიდობიან კალაპოტში, სტაბილურ გარემოში, მოლაპარაკებების გზით...

— დღეს კი ამაზე ლაპარაკი ნაადრევია?

— ვფიქრობ, რომ ნაადრევია. გადაჭრით დღეს ვერავინ გეტყვით, რომელმა ძალამ გაიმარჯვა უკრაინაში: მათ, ვინც მაიდანზე იდგნენ, თუ იმ ძალებმა, რომლებიც თავის თავს ოპოზიციონერებს უწოდებდნენ. ამ ყველაფერზე საუბარი ჯერჯერობით ძალიან ადრეა. ჩვენ გვჭირდება დრო იმისთვის, რომ პროცესებში კარგად გავერკვეთ.

— შეიცვლება თუ არა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლება იმისდამიხედვით, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდება უკრაინა?

— უკრაინა ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეა, ჩვენი მეზობელი ქვეყანაა. ის ძალიან მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული კომპონენტია თავად ევროპისთვისაც — 45 მილიონზე მეტი მოსახლეობით, საკმაოდ ძლიერი ეკონომიკით და არანაკლებ ძლიერი სამხედრო პოტენციალით. არის პრობლემები მართვაში, მაგრამ იმედია, რომ ყველაფერი მოწესრიგდება და ის გახდება ნორმალური დემოკრატიული სახელმწიფო. იმედია, ქვეყნის შიგნით გაიმარჯვა იმ ძალამ, რომელიც იბრძოდა უკეთესი მომავლისთვის, მაგრამ ბრძოლა მიმდინარეობდა ქვეყნის გარეთაც. ამიტომ როგორც ზემოთ აღვნიშნე, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვინ გაიმარჯვა დიდ პოლიტიკაში. ჯერ კიდევ მიმდინარეობს რთული და ღრმა მოლაპარაკებები მთავარ მოთამაშე ძალებს შორის.

— ხომ არ ელოდება საქართველოსაც, იქცეს ასეთივე ბრძოლის პოლიგონად — მსოფლიოში გავლენათა სფეროს გადანაწილებისთვის?

— არა მგონია, ღმერთმა დაგვიფაროს!

უკრაინა ევროპის ნაწილია, გარშემორტყმულია ევროკავშირის წევრი ქვეყნებით, ამიტომ უკრაინის სტაბილურობა მეტად მნიშვნელოვანია. მსოფლიოსთვის ის ერთობ სოლიდური ფაქტორია გავლენათა გადანაწილების თვალსაზრისით. ამიტომაც მოექცა ასეთ რთულ ვითარებაში. დაველოდოთ, ვნახოთ, რა მოხდება...

ესაუბრა

◎ ალიან-ჩალიანი

ვიქტორ იანუკოვიჩი, შესაძლოა, ჰააგის ტრიბუნალს გადაეცეს

უკრაინის უმაღლესმა რადამ მხარი დაუჭირა ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის ჰააგის ტრიბუნალისთვის გადაცემას. ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს.

უმაღლესმა რადამ მიიღო დებულება უკრაინის მიერ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის აღიარების თაობაზე.

ამასთან, დეპუტატები მოითხოვენ, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის ჰააგის ტრიბუნალს გადასცენ უკრაინის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვიტალი ზახარჩენკო და ყოფილი გენერალური პროკურორი ვიქტორ პშონკა.

უკრაინული მედიის ცნობით, უმაღლესი რადა ასევე ითხოვს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცენ სხვა მაღალჩინოსნებიც, რომლებიც დამნაშავენი არიან მოქალაქეების გატაცებაში, ცემაში, უკანონო დაკავებებსა და მკვლელობებში.

უკრაინის ჯანდაცვის სამინისტროს ბოლო მონაცემებით, კიევში 18-დან 20 თებერვლის ჩათვლით 82 ადამიანი დაიღუპა.

ვიტალი კლიჩკო საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს

„ დიახ, კენჭს ვიყრი უკრაინის პრეზიდენტად, რადგან მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ უკრაინამ სრულად უნდა შეცვალოს თამაშის წესები. უნდა დამყარდეს სამართლიანობა. ზუსტად ვიცი, რომ ამის გაკეთება შესაძლებელია “, — განუცხადა ვიტალი კლიჩკომ რადაში მყოფ ჟურნალისტებს.

უკრაინის უმაღლესი რადას გადაწყვეტილებით, უკრაინაში ვადამდელი საპრეზიდენო არჩევნები 25 მაისს გაიმართება.

ინტერპრესი

ამაზრზენი ნაციონალების ოინები გრძელდება

რატომ ითხოვდა გიგი უგულავა ონიანის გადაყვანას ანზორ მელიას კლინიკაში?..

გიორგი ონიანის დაკავებისთანავე პროკურატურასთან ნაციონალური მოძრაობის წევრები გამოცხადდნენ და იმის მიუხედავად, რომ ჯერ არ იცოდნენ, თუ რა იყო დაკავების მიზეზი, ონიანის დაკავებას პოლიტიკურ ჭრილში განიხილავდნენ. შემდეგ, იყო მცდელობა, რომ ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს ონიანი ენახათ, თუმცა, რა სტატუსით — არავინ იცის. ამის შემდეგ, ონიანთან ადვოკატი შევიდა და იქიდან გამოსულმა დააანონსა, დაკავებულს გულის პრობლემები აქვს და კლინიკაში უნდა გადაიყვანონო. რატომღაც, ნაციონალური მოძრაობის წევრები მთელი შემადგენლობით ანზორ მელიას კლინიკა „გულისკენ“ დაიძრნენ, თუმცა, გაირკვა, რომ ონიანი ჩაფიძის კლინიკაში გადაიყვანეს. უგულავამ მაშინვე თქვა, ესეც პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, მაგრამ მიხვდა, რომ ეს არ უნდა ეთქვა და გაჩუმდა.

საქმე იმაშია, რომ კლინიკა „გულის“ ხელმძღვანელი ანზორ მელია ძველი თბილისის გამგებლის ნიკა მელიას მამაა. ძნელი სათქმელია, რამდენად იყო შესაძლებელი, მელიას კლინიკაში მიყვანილი ონიანის ჯანმრთელობის შესახებ ცრუ ინფორმაციის გავრცელება, მაგრამ ცხადია, რომ ნაციონალური მოძრაობა თავისას ეცდებოდა.

ჩაფიძის კლინიკაში ონიანს დეტალური შემოწმება ჩაუტარეს და დაადგინეს, რომ გულის ჩხვლეტები მოგონილი იყო. ჩაფიძის კლინიკის მიერ გაცემულ ე.წ. „ფორმა ასში“ სიტყვასიტყვით არის ნათქვამი, რომ ონიანი არ საჭიროებს სტაციონალურ მკურნალობას და პროფილაქტიკის მიზნით შეუძლია დაიცვას დიეტა. ონიანის განცხადებით, იგი „ბოლო დროს გულის არეში ყრუ ტკივილებს უჩივის, რომელიც სპონტანურად წყდება, თუმცა, ეს განცხადება საკმარისი არ აღმოჩნდა სტაციონარში მის მოსათავსებლად, რადგან კვლევებმა აჩვენეს, რომ მას უბრალოდ არაფერი არ სჭირს. შედეგად, ონიანი წინასწარი დაკავების საკანში გადაიყვანეს...

ნაციონალურ მოძრაობას დაავიწყდა, რომ ჩაფიძის კლინიკაში გადაყვანა კი არა, მათი ხელისუფლების პირობებში პატიმრებისთვის გულის წვეთებიც კი სანატრელი იყო და მკურნალობას ძირითადად ხელკეტებით ახორციელებდნენ. მათ კარგად იციან, როგორ აყვირონ ევროპელი უფლებადამცველები და ონიანის ავადმყოფობაც ჰაერივით სჭირდებოდათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. შედეგად, ონიანის თემა იმავე უგულავამ სამომავლოდ გადადო და ამომრჩეველი დაზაფრა — თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ტოტალური უმუშევრობა გელითო.

„არჩევნების შემდეგ დაგეგმილია ძველი თანამშრომლების მასობრივი გაყრა და მათ ადგილას სხვების დანიშვნა. ასეთია კახა კალაძის გეგმა“, — განაცხადა უგულავამ სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე და საერთოდ აღარ გახსენებია, მისი მეგობარი ონიანი კლინიკიდან სად გადაიყვანეს, რა უთხრეს, რატომ და რისთვის. არადა, მან ხომ ყველაზე კარგად იცოდა, რომ ონიანს რელურად არაფერი სჭირდა, ჩაფიძის კლინიკიდან ყალბ ცნობას კი, არავინ გამოატანდა.

სხვათა შორის, ფოტოზე, რომელზეც ონიანი მოქალაქეებს ცემს, ნაციონალები კომენტარს არ აკეთებენ, რადგან ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, ისინი ანალოგიურ ქმედებებს სახელმწიფოებრივი ინტერესით ამართლებენ.

ონიანთან დაკავშირებით ნაციონალურ მოძრაობას კიდევ რამდენიმე პროვოკაცია აქვს დაგეგმილი და მათგან უმთავრესი ევროპელი უფლებადამცველებისთვის მათთვის სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებაა. პირველი ცრუ ჩვენება, რომელიც ონიანის ცემა-ტყეპას ეხებოდა, არ დადასტურდა და ახლა რას მოიფიქრებენ, ძნელი სათქმელია.

ნიკა ასლანიძე

◎ ალიან-ჩალიანი

ადვოკატთა თავკაცი თავად ხდება დასაცავი

„საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი მის მიმართ გადადგომის მოთხოვნით წამოწყებულ კამპანიას მართვადს უწოდებს.

როგორც ხატიაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ამ აქციების მართვადობიდან გამომდინარე, მას კომენტარის გაკეთება უჭირს. მისივე თქმით, გოგა ონიანის დაკავება მოხდა საერთაშორისო კონვენციების დარღვევით.

— როდესაც ადამიანის მიმართ წელიწადნახევარია შეტანილია განცხადება, თითქოსდა მან ვილაცას ნარკოტიკი ჩაუდო და იჭერენ მაშინ, როდესაც ის პოლიტიკურ ოპონენტს იცავს, ეს არის ყველა საერთაშორისო კონვენციის დარღვევა. იგივე თქვა არაპირდაპირ ფილიპ დიმიტროვმაც, არ შეიძლება პოლიტიკური ოპონენტის ადვოკატის დაკავება არჩევნების წინ, — განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა.

რაც შეეხება მის მიმართ წამოყენებულ ბრალდებებს, პუტინისთვის წერილის მიწერისა და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ შესაძლო კავშირის თაობაზე, როგორც ხატიაშვილი აცხადებს, ეს ბრალდებები არის სრულიად უსაფუძვლო.

— ხუთი წელია, არ ჩავდივარ რუსეთში, რადგან ჩვენი ტერიტორიები არის ოკუპირებული. ყველა დადის რუსეთში, ჩემს გარდა. როდესაც განვაცხადე, რომ დვანში ადვოკატებს აქციაა ჩაგვეტარებინა, საზღვრების გადმოწევასთან დაკავშირებით, ის ხალხი, რომლებიც ბრალს მდებენ, არც ერთი არ გამომყვა და ყველა დაიმალა, მხოლოდ 15 ადვოკატი ძლივს მოგროვდა. „ნაციონალური მოძრაობის“ სატელიტები კი არიან თავად „ქართული ოცნების“ პირველი პირები, მთავარი პროკურორი, შს მინისტრი, თუმცა, მათზე არ აქვთ პრეტენზია. სააკაშვილმა, 5 წელი სისხლი გამიშრო, როგორ შეიძლება ამის მერე ჩემზე თქვა, რომ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ვარ შეკრული, ან როგორ შემიძლია განვასხვავო გოგა ონიანი სხვა ადვოკატებისგან, როდესაც ხდება უკანონო დაკავება, მე ხომ უნამუსო ადამიანი ვიქნები, ეს ადამიანი გამოვყო სხვა ადამიანებისგან, — აღნიშნა ზაზა ხატიაშვილმა.

ინტერპრესი

რიგითი დამნაშავის ძველი ცოდვები

ნაციონალები და ზაზა ხატიაშვილი ონიანის დაკავებას პოლიტიკურ ელფერს აძლევენ

როგორც ცნობილია, სამართალდამცავებმა ადვოკატი გიორგი ონიანი დაკავეს. რაღა თქმა უნდა, ამ ამბავს ნაციონალური მოძრაობის ლიდერთა მხრიდან პოლიტიკური შეფასებები მოჰყვა და ისინი ერთხმად აცხადებენ, რომ ეს პოლიტიკური დაკავებაა. სხვათა შორის, არც თუ შორეულ წარსულში, დაკავებების სერიას სწორედ ნაციონალები ატარებდნენ და თან ისე, რომ ნებისმიერი ადამიანი არათუ მაშინვე ცხადდებოდა დამნაშავედ, არამედ პროკურატურამაც და მოსამართლემაც უკვე იცოდნენ, რამდენს მიუსჯიდნენ (უარეს შემთხვევაში), ან რამდენს გადაახდევინებდნენ საპროცესო გარიგების შედეგად (უკეთეს შემთხვევაში).

სხვათა შორის, არ იძნება ურიგო, თუ ნაციონალური მოძრაობის წევრები იმ ათიათასობით დაკავებებიდან ერთ კადრს მაინც ნახავენ, რომელშიც გამოჩნდება, რომ დაკავებულს სამართალდამცავები კამერების წინ აჩერებენ და განცხადების გაკეთების შესაძლებლობას აძლევენ. ონიანს ამის შანსი მიეცა და მანაც მშვიდად ჩამოყალიბა ის, რასაც ფიძროდა, და შეფასებებიც გააკეთა.

პარალელურად, უცნაური განცხადება „გამოაცხო“ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა. მისი თქმით, ხელისუფლებას ადვოკატთა დევნა არ შერჩება და ისე გამოვიდა, თითქოს ადვოკატობა იმუნიტეტი იყოს. დამნაშავე, ადვოკატი იქნება, ზეინკალი თუ მინისტრი, უნდა დაისაჯოს. საინტერესოა, ხატიაშვილს თუ აქვს ნანახი ის კადრები, პოლიციელი ონიანი ქუჩაში მოქალაქეებს რომ ურტყამს და თუ უნახავს, რატომ არ ამბობს, რომ ეს დანაშაულია? თუ ხატიაშვილმა ივარაუდა, რომ ონიანი შემდგომში ადვოკატი გახდებოდა და კოლეგიალობა დაიცვა?

შეგახსენებთ ონიანის ბრალს...

პროკურატურის ინფორმაციით, ონიანმა 2011 წელს კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საქმიანობისთვის ხელის შეშლის, ასევე განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირთა დაშინების მიზნით, შპს „დაო-პრინტის“ მენეჯერი დავით შათირიშვილი უკანონოდ დააკავა. შპს „დაო-პრინტი“ იმ დროისათვის პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ ლოგოიანი მაისურების დამზადებას ახდენდა და სწორედ ეს ფაქტი გახდა შათირიშვილის დაკავების მიზეზი, რაც მას პირდაპირ დაუფიქსირა საუბარში ონიანმა დაკავების შემდეგ.

დავით შათირიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვის ფაქტზე, მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის მიზნით, გიორგი ონიანმა საქმის გამომძიებელს წარუდგინა ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა და დაავალა, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებში აესახა ამ ნარკოტიკული საშუალების დავით შათირიშვილის პირადი ჩხრეკისას ამოღების ფაქტი, რასაც სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია.

გიორგი ონიანის ძალისხმევით დავით შათირიშვილს ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენისა და შენახვისათვის ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით წარედგინა, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 11 წლამდე ვადით, და საქმე საბრალდებო დასკვნით არსებითად განსახილველად წარიმართა სასამართლოში.

პროკურატურა ეჭვობს, რომ საბოლოო ჯამში, შათირიშვილს მარიხუანა ონიანის მითითებით ჩაუდეს და სწორედ ეს არის გამოძიების მიზანი — დაადგინოს, მართლა მოხდა თუ არა აღნიშნული ფაქტი და წინასწარ იმის მტკიცება, დამნაშავეა თუ უდანაშაულო ონიანი, ელემენტარულად უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაა.

აშკარად გამოიკვეთა ტენდენცია: როგორც კი ნაციონალური მოძრაობის რომელიმე წევრს დააკავებენ, მაშინვე ჩნდება ინფორმაცია, რომ დაკავებული კონკრეტულ რაიონში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში აპირებდა მონაწილეობის მიღებას. კარგი იქნება, თუ ნაციონალური მოძრაობის წევრები გამოაქვეყნებენ სიას, რომელშიც აღნიშნული იქნება, კონკრეტულად ვინ სად აპირებს კენჭისყრას და იმასაც თუ მოაყოლებენ, რომ ამ ადამიანებს სუფთა წარსული აქვთ და უკანონო არასდროს არაფერი ჩაუდენიათ.

რა თქმა უნდა, ამის გაკეთება რთულია, მაგრამ ხომ გვიმტკიცებენ, მთელი 9 წელი ქვეყანას ვაშენებდით და უბრალოდ, თქვენ ვერ გაიგეთ, რამხელა ნაბიჯებით მივიწევდით წინო. მათ უნდა ახსნან, იგივე ონიანი რატომ გახდა ადვოკატი მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა, რატომ არავინ მოსთხოვა პასუხი იმაზე, რომ ქუჩაში, კამერების თვალწინ ადამიანებს ცემა-ტყეპით სვამდა მანქანაში და თურმე ახლა თავად გახდა ძალადობის მსხვერპლი.

როგორც ნაციონალური მოძრაობის წევრები ამტკიცებენ, საავადმყოფოში გადაყვანის დროს ონიანზე სასწრაფო დახმარების მანქანაში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა განხორციელდა.

არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, რომ იმ 24 ათასი პატიმრიდან, რომელიც წინა ხელისუფლებამ ახალს დაუტოვა, 99 პროცენტი რამდენიმე ადამიანის მიერ ნაცემი კი არა, სასიკვდილოდ გამეტებული იყო, თუმცა, მაშინ არც ნაციონალურ მოძრაობასა და არც თავად ონიანს აზრად არ მოსვლიათ, ამაზე ხმა ამოეღოთ. ახლა კი, მაქსიმალურად ცდილობენ, ისე დახატონ სიტუაცია, თითქოს მთელი სახელმწიფო მანქანა ამუშავდა იმისთვის, რათა გიორგი ონიანი გისოსებს მიღმა აღმოჩენილიყო და ვაზისუბანში ნაციონალურ მოძრაობას არჩევნები წაეგო.

არადა, ეს ერთი რიგითი საქმის რიგითი გამოძიებაა, რომელშიც ეჭვმიტანილი ნაციონალური მოძრაობის რიგითი წევრი გიორგი ონიანია.

ნიკა ასლანიძე

ეკონომიკურ- მორალური აჯავსანდალი

ბიზნესმენი ავთანდილ საყვარელიძე ერთ-ერთია იმ ათასობით ადამიანიდან, რომელმაც ქონების დაბრუნების მოთხოვნით მთავარ პროკურატურას მიმართა. ბიზნესმენმა 2013 წლის 16 მაისს განცხადებით მიმართა პროკურატურას და მოითხოვა მისი კუთვნილი კომპანიის, შპს „ვაგონშემკეთებელი ქარხნის“ დაბრუნება. მთავარმა პროკურატურამ საქმის მოკვლევა დაიწყო, თუმცა, მას შემდეგ, რაც მთავარ პროკურატურაში ლაშა ნაცვლიშვილი გამოჩნდა, ამ საქმეზე გამოძიება დროებით შეწყდა.

როგორც ჩვენი წყარო ამბობს, ნაცვლიშვილმა დაიბარა შპს „ვაგონშემკეთებელი ქარხნის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი არეშიძე და კომპანიის 50 პროცენტი წილის გადაფორმება მოითხოვა. შეთანხმების მიღწევის მიუხედავად გარიგების დოკუმენტალურად გაფორმება ვერ შედგა იმ მიზეზით, რომ ნაცვლიშვილი თანამდებობიდან გაანთავისუფლეს. ამ ფაქტის შესახებ არეშიძის ახლო გარემოცვიდან გახდა ცნობილი.

რაც შეეხება თავად არეშიძეს, როგორც ცნობილია, ის წლების განმავლობაში ფინანსთა სამინისტროს, სსიპ შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა ეჭირა. იგი დაახლოებული იყო იუსტიციის ყოფილ მინისტრთან ზურაბ ადეიშვილთან და მას ზურაბ ადეიშვილის „მოლარედაც“ მოიხსენიებენ.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, გიორგი არეშიძე შპს „ვაგონშემკეთებელი ქარხნის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ხდება. კომპანიის 100-პროცენტიანი წილის მფლობელი კი, ამ დრომდე ბადრი წილოსანია, რომელსაც ეს კომპანია, როგორც კომპანიის ყოფილი მფლობელი ავთანდილ საყვარელიძე ამბობს, დავით კეზერაშვილმა გადაუფორმა.

აღსანიშნავია, რომ „ვაგონშემკეთებელი“ ჰოლდინგის წარმომადგენლებმა გიორგი არეშიძემ, ნინო წილოსანმა, დავით სამხარაშვილმა და გურამ რატიანმა, 2013 წლის 25 ივნისს საგანგებო ბრიფინგი გამართეს და აღნიშნეს, რომ პირი რომელიც თავის დროზე ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებთან იმყოფებოდა გარიგებაში, დღეს, მსხვერპლის სახით გამოძიების შეცდომაში შეყვანას ცდილობს. მაშინ გიორგი არეშიძე აცხადებდა, რომ კომპანიის ყოფილი დირექტორი ავთანდილ საყვარელიძე მიზანმიმართულად ეწევა ანტიკამპანიას და ცდილობს, საზოგადოება შეიყვანოს შეცდომაში.

რაც შეეხება საქმეს, მთავარი პროკურატურის პრესსამსახურში for.ge-ს განუცხადეს, რომ ავთანდილ საყვარელიძის საქმეს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს. ჩვენ დავუკავშირდით ასევე საგამოძიებო დეპარტამენტს, თუმცა საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა გიორგი გრძელიშვილმა გვითხრა, რომ „ვაგონშემკეთებელი ქარხნის“ საქმეს მთავარი პროკურატურა იძიებს. სწორედ ამ ორ უწყებაში ვარკვევდით, ბოლოს და ბოლოს, რომელი უწყება იძიებს ამ საქმეს და რა ეტაპზეა მისი გამოძიება, მაგრამ კომპეტენტური პასუხი ვერ მივიღეთ.

თავად კომპანიის კანონიერი მესაკუთრე, ავთანდილ საყვარელიძე ამბობს, რომ კომპანიას წინა ხელისუფლების მიერ დაქირავებული მენეჯმენტი მართავს, რომლებიც დღემდე ასწორებენ მათთან ანგარიშებს და მათ ურიცხავენ ფულებს.

For.ge ბიზნესმენ **ავთანდილ საყვარელიძეს** ესაუბრა.

— კომპანიის ამჟამინდელი მფლობელები აცხადებენ, რომ სამართალდამცავები შეცდომაში არიან შეყვანილები და, რომ თქვენ ცდილობთ თავი მსხვერპლად წარმოაჩინოთ და ამ გზით „ვაგონშემკეთებელი“ უკან დაიბრუნოთ. შეგიძლიათ, გვითხრათ, რას უკავშირდება კომპანიის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი არეშიძის განცხადება?

ავთანდილ საყვარელიძე: ყველა ის ადამიანი, ვინც დღეს ამ ქარხანაშია, არიან კეზერაშვილის ბიზნესმენები, მისი მარჯვენა ხელი და მეგობრები. მე ნამდვილად ვიცი, რომ როდესაც ჩვენ ქარხანა წაგვართვეს ძალადობით, ავტომატების გამოყენებით შუაღამით გადაგვაფორმებინეს ქონება, მაშინ მოიყვანეს დავით კეზერაშვილი და სწორედ კეზერაშვილმა მისი ხალხი დანიშნა ქარხნის ხელმძღვანელობაში. ამ ქარხნის დღევანდელი მფლობელი ბადრი წილოსანი გახლავთ კეზერაშვილის მარჯვენა ხელი. მეტსაც გეტყვით, იგი დღემდე ახდენს კეზერაშვილთან თანხების გადარიცხვას.

— თქვენ საიდან იცით ამის შესახებ?

— შეგიძლიათ, ჰკითხოთ გამოძიებას. არსებობს ამის ფაქტები და მასალები. სხვათა შორის, ქარხანაში იყო კიდევ ერთი, „ნაციონალური მოძრაობის“ ცნობილი სახე, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დღევანდელი ხელმძღვანელი ნიკა გვარამია. ისიც გარკვეული პერიოდი ხელმძღვანელობდა ამ ქარხანას, რა თქმა უნდა, კეზერაშვილის ხელდასხმით. რაც ყველაზე საინტერესოა, ქონების წართმევა დაიწყო აგვისტოს ომიდან ერთი თვის შემდეგ.

ტერიტორიები დაკარგეს, ხალხი ჩახოცეს და ამ დროს, ფულზე და გამდიდრებაზე ფიქრობდნენ. კეზერაშვილმა კატეგორიულად დასვა საკითხი, რომ მისთვის ქარხანა უნდა მიმეცა. მას ამ მოთხოვნაზე უარი განვუცხადე, მაგრამ ამას მოჰყვა ერთკვირიანი ძალადობა. ფინანსური პოლიციის ავტომატიანმა ბანდიტებმა მიიტაცეს ქარხანა. ქარხანა მიიტაცა კეზერაშვილმა და თავის უახლოეს მეგობარზე ბადრი წილოსანზე გადააფორმა.

— როგორც ამბობთ, უარის მიუხედავად, თქვენ მაინც გადააფორმეთ კეზერაშვილზე კომპანიის აქციები. ზეწოლის რა ფორმა იყო თქვენს მიმართ გამოყენებული?

— ავტომატებით შეიარაღებულმა 50 პირმა კედელზე მიაყენა თანამშრომლები, პარალელურად იყო მუქარა — ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირებს, ულტიმატუმით **— ხელს მოაწერთ თუ ესენი დავხვრიტოთ** — მოაწერინეს დოკუმენტებზე ხელი. მათი მეთოდებიდან გამომდინარე, ალბათ, შეიძლებოდა ეს ხალხი მართლაც დაეხვრიტათ — უკან არ დაიხევდნენ.

„ვაგონ-შემკეთებელი ქარხნის ხელმძღვანელობა დღემდე ურიცხავს კეზერაშვილს თანხებს“...

პირობას ვიძლევი, რომ როგორც კი კომპანიას დავიბრუნებ, არეშიძეს და მისნაირებს პირველივე დღეს გავათავისუფლებ კომპანიიდან. ისინი არიან წინა ხელისუფლების დაქირავებული მენეჯმენტი, რომლებიც დღემდე მათთან ასწორებენ ანგარიშებს და მათ ურიცხავენ ფულებს.

— თქვენთვის თუ არის ცნობილი, როგორ აღმოჩნდა კომპანიაში გიორგი არეშიძე, რომელიც დღეს არის ამ კომპანიის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი...

— შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის კეზერაშვილ-წილოსანის მიერ ერთობლივად შერჩეული და დანიშნული სანდო კადრია. 2008 წლის 17 სექტემბრის შემდეგ ქარხნის ფაქტიური მეპატრონე გახლდათ კეზერაშვილი და მისი პარტნიორი წილოსანი. ალბათ, ისინი იღებდნენ გადაწყვეტილებას კადრების დანიშვნის და განთავისუფლების შესახებ.

კომპანიას აქვს მრავალი ათეული მილიონი ლარის ხელშეკრულება რკინიგზასთან. დღეს, ჩვენგან დამოუკიდებლად, ამ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება. საქართველოს რკინიგზა მათ საკმაოდ სოლიდური თანხების მოპარვას ედავება. როგორც მე მაქვს ინფორმაცია, დაახლოებით 60 მილიონია მოპარული.

— თუმცა, ისინი ამბობენ, რომ თქვენ მთლიანად გააკოტრეთ კომპანია, დააგროვეთ ვალი 73 მილიონი ლარი და მოგვიანებით წილოსანს გაკოტრებული კომპანიის აქციები 3 მილიონ ლარად მიყიდეთ...

— პირადად მე, მათ ვადანაშაულებ ბანდიტიზმში, რითაც მიიტაცეს ქარხანა. გამოვიდნენ და პასუხი გასცენ ამ ბრალდებებს. როდესაც დასრულდება გამოძიება და სასამართლოს მიერ შედეგი დადგება, გამოჩნდება ქარხნის დღევანდელი მდგომარეობაც, როგორი მდგომარეობა იყო 2008 წელს და როგორი მდგომარეობაა დღეს. ამის შედარება ძალიან ადვილია. 2008 წლის შემდეგ დაახლოებით მოპარული იქნა 1000 ტონა რკინის ნაკეთობები, რომელიც ჯართად ჩააბარეს.

წილოსანმა და მისმა გუნდმა არ იცის მისი დანიშნულება, არ იცის რა არის ჩარხი, რა არის მექანიზმი. მათ მანქანათმშენებლობაზე, ზოგადად, მწირი წარმოდგენა აქვთ. ნულოვანი კომპეტენციის პიროვნებები არიან. შეესივნენ ქარხანას და გაძარცვეს. თუ კი რაიმე მეტალის ნაკეთობა იყო, ყველაფერი მოხსნეს და ჯართად გაყიდეს. ამით ქარხნის სიცოცხლისუნარიანობას ძალიან დიდი ზიანი მიაყენეს. ეს არის მათი რეალური საქმინაობის შედეგი.

დღეს რას ილაპარაკებს ეს ხალხი, ნაკლებად მაინტერესებს. იცით, კეზერაშვილის სასამართლო იყო საფრანგეთში და ლაპარაკობდა მისი მხარე, რომ აბსოლუტურად უდანაშაულო პიროვნებაა, არავითარი ბრალი არ მიუძღვის არც ერთ მოქმედებაშიო. ზუსტად ასე ლაპარაკობენ ესენიც. საზოგადოებისთვის ყველაფერი ცნობილია, თავის მართლებას ცდილობენ. ახალი ხელისუფლება ყოფილი რეჟიმის გასამართლების გზით უნდა წასულიყო და არა კერძო პიროვნებების სასამართლო პროცესებით.

— როგორც ვიცი, თქვენ მიმართეთ პროკურატურას, რა ეტაპზეა დღეს საქმე?

— რა თქმა უნდა, მივმართე და მიმდინარეობს გამოძიება. ჩვენ ვართ კონკრეტული პიროვნებები, რომლებიც ვიძლევით კონკრეტულ ჩვენებებს, ვასახელებთ კონკრეტულ პიროვნებებს, მოწმეებს და ადგილებს. ვითხოვთ გამოძიებას. ამ ბატონებმა უნდა უპასუხონ გამოძიების კითხვებს. ასეთი სპეკულაციებით თავს ვერ დაიძვრენენ, არ გამოუვათ. მით უმეტეს, ვიღაცა არეშიძეები...

— კითხვები არ ჩნდება ადეიშვილის მარჯვენა ხელი როგორ გახდა ამ კომპანიის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი?

— კეზერაშვილი და ადეიშვილი ერთი გუნდი იყო. მათი განცალკავება სწორი არ იქნება. კომპანიაში ყველა მოქმედებას ატარებდა კეზერაშვილის ხალხი და პირადად კეზერაშვილი. პირადად მას მაშინ გვერდს უმშვენებდა ბადრი წილოსანი. მერე ვისზე გადააფორმეს და ვინ დანიშნეს, ნამდვილად ვერ გეტყვით. ვინ არის ეს არეშიძე არც ვიცი.

— რაც შეეხება ბადრი წილოსანს, კომპანიის წარმომადგენლები ამბობენ, რომ წილოსანს თავის დროზე დაათმობინეს კომპანიის წილი და აჩუქებინეს თქვენზე. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

— არ ვიცი... რაზე ლაპარაკობენ, ესეც ახალი გამოგონილი ისტორიაა. ჩვენ 2005 წელს ვიყიდეთ ეს ქარხანა, ეკონომიკის სამინისტროში, აუქციონზე, სამი ტურის შედეგად. ეს ფაქტები არსებობს. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია, ეს ნახოს.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● **გაუხრწნელი ონიანი ჩაფიძის კლინიკიდან მოდულის შენობაში გადააბრძანეს.**

● **რომელი ონიანი დაიჭირეს, ველიჯანაშვილი?**

● **ბიჭოლას ონიანის დაჭერაზე არაფერი უთქვამს?**

● **სიტყვამ მოიტანა და დედაზე და მამაზე ბავშვობაში დასმული შეკითხვის დარად, კეტრინ ეშტონი უფრო გიყვართ თუ შტეფან ფულე?**

მე ორ ცეცხლს შუა ვარ. კეტრინის გარეგნულ მომხიბვლელობას შტეფანის შინაარსიანი გვარი ებრძვის ჩემში.

● **ამას კაკულია ჯერ კიდევ მაია ასათიანთან „პროფილში“ წინასწარმეტყველებდა, გასკვანჭულ ზონდერგომბეშოს ვხედავ, ხერხემლის გვერდითო...**

● **ხატიაშვილის გამონათქვამი ონიანის ვაჟკაცობაზე: სეფაშვილის სააკაშვილისადმი „ჩემო ვაჟკაცო“..!**

● **ნინი ბადურაშვილის ფბ სტატუსი (უცვლელად დედას გეფიცებით) „რამდენი ადამიანი მახსოვს ვანოს გვერდით.... ან მაბარებდნენ, გადაეცი, რომ ძალიან გვიყვარს .... და დღეს? ყველა ჩუმად არის .. ეს არის დრო.....მე მრცხვენია თქვენს მაგივრად...მე მიყვარს ვანო, მიუხედავად იმისა, რომ არ ვარ ნაციონალი. ამაზე არის ანდაზა „დრონი მეფობენ და არა მეფენი!“ ვანო, მე მიყვარს ვანო და კიდევ რა მინდოდა მეთქვა საზოგადოებისთვის!!!...სანამ ვანო იყო სახლში, მარტო არ მეშინოდა...ახლა კი სახლიც და სამსახურიც 100 მეტრში მაქვს და იქიდან წამოსვლის მეშინია!! ასეა ეეს!!!!**

● **იაფი მერია და საკრებულო გვინდა პირველ რიგში, გაბერილი და დუბლირებული კადრები უნდა გაიწმინდოს, ხოლო საკრებულო და მერია დაეტიოს ერთ შენობაში... ეტო რაზ!**

● **ყველანი შავ სიაში!!! ბანკი.**

● **საუცხოო ქვეყანა გვაქვს, კარიერული წინსვლისათვის აუცილებელი საფეხურებია: კმარელი, ზონდერი, უფლებადამცველი, ადვოკატი..! შემდეგი აუცილებელი ფაზაა: პატიმარი („პოლიტ“ სავარაუდოდ) და To Be Continiued...**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს!..

ნაციონალები ხელისუფლებას „გარიგების“ სანაცვლოდ, მერაბიშვილის გათავისუფლებას სთხოვდნენ

„ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებას ვანო მერაბიშვილის გათავისუფლების სანაცვლოდ, საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერას სთავაზობდა. როგორც for.ge-ს საპარლამენტო კულუარებში განუცხადეს, შემოდგომაზე, უმცირესობა პარლამენტის თბილისში დაბრუნდების მხარდაჭერის სანაცვლოდ, მმართველ გუნდს ყოფილი პრემიერის პატიმრობიდან გათავისუფლებას სთხოვდა.

for.ge-ს ინფორმაციას საპარლამენტო უმცირესობის ლიდერები კატეგორიულად უარყოფენ, თუმცა, კულუარულ საუბარში ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა დაგვიკონკრეტა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ უმრავლესობას სთავაზობდა – ქვეყანაში შენარჩუნებულიყო სიმშვიდე და სასამართლო პროცესები დასრულებულიყო.

„ამ კონტექსტში ვანო მერაბიშვილი ნახსენები არ ყოფილა, თუმცა, სასამართლო პროცესების დასრულებას ნამდვილად ვითხოვდით“, – დასძინა უმცირესობის ერთ-ერთმა ლიდერმა.

საკითხზე საუბრისას, უმცირესობის წევრები ყურადღებას ვანო მერაბიშვილს პოლიტდევნაზე ამახვილებენ და აცხადებენ, რომ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის გადასაწყვეტია, თუ რის სანაცვლოდ ისურვებდა თავისუფლებას.

როგორც for.ge-ს დავით დარჩიაშვილმა განუცხადა, მსგავსი შეთავაზება არ ყოფილა და ხელისუფლება თუ მსგავს ჭორებს ავრცელებს, ეს არაეთიკური საქციელია.

„მასმედიამ იცის, რომ ჩვენ ვითხოვთ როგორც მერაბიშვილის დევნის აღკვეთას, ასევე პარლამენტის ქუთაისში დარჩენას. ალბათ, გახსოვთ, საკონსტიტუციო ცვლილებების კენჭისყრამდე რა ბრძოლა გავმართეთ. ვიცავდით და დავიცავთ პრინციპს, რომ ქუთაისი საპარლამენტო დედაქალაქი იყოს“, – აღნიშნავს დარჩიაშვილი, რომლის პათოსსაც გიორგი თევდორაძეც იზიარებს.

ქუთაისის ყოფილი მერის შეფასებით, ხელისუფლების მიმართ მსგავსი შეთავაზება არ ყოფილა და მმართველი გუნდი ცრუ ინფორმაციებს ავრცელებს.

„ხელისუფლებას ქვეყანაში შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობის გადაფარვა ტყუილებით სურს. ეს ინფორმაცია მტკნარი სიცრუეა, რადგან ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქუთაისში პარლამენტის არსებობის ერთ-ერთი გულშემატკივარი ვანო მერაბიშვილია და ალბათ, პირველ რიგში, მისი გადასაწყვეტია – თუ რის სანაცვლოდ ისურვებდა თავისუფლებას“, – განუცხადა for.ge-ს გიორგი თევდორაძემ, რომლის მსგავს პოზიციაზეც არიან აკაკი მინაშვილი, გოკა გაბაშვილი და სერგო რატინანი.

გოკა გაბაშვილი გვიმტკიცებს, რომ მსგავს საუბარს ადგილი არ ჰქონია. სერგო რატინანი აცხადებს, რომ უმცირესობა მსგავს საკითხზე არ „ივაჭრებს“, ხოლო აკაკი მინაშვილი ამბობს, რომ პარლამენტის ქუთაისში არსებობა დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურ წინსვლას უკავშირდება და ამ საკითხზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა არ მოხდება.

„საქართველოს პარლამენტის ადგილი ქუთაისია და კულისებს მიღმა თუ რა გარიგებებზე საუბრობენ, ეს საერთოდ არ მაინტერესებს. პარლამენტი ქუთაისში უნდა იყოს. მერაბიშვილი უკანონო პატიმრობაშია, მაგრამ ამ საკითხზე პოლიტიკურ „ვაჭრობას“ არ დავიწყებთ. კონსტიტუცია კონსტიტუციაა და უკანონოდ დაპატიმრებული ადამიანის ბედ-იღბალი კი სხვაა“, – განუცხადა for.ge-ს გაბაშვილმა.

სერგო რატიანი კი აცხადებს, რომ მსგავსი საკითხი არ განხილულა.

„ქუთაისში პარლამენტის არსებობა საქართველოს სტრატეგიული განვითარების საკითხია. რაც შეეხება ვანო მერაბიშვილის უკანონო პატიმრობაში ყოფნას, ამით ქვეყნის იმიჯი ილახება და ეს ამ ხელისუფლების მმართველობის მალე დასრულების წინაპირობაა. ამიტომ, მერაბიშვილის გათავისუფლებისთვის, პირველ რიგში, ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს“, – განუცხადა for.ge-ს რატიანმა, რომლის განწყობასაც აკაკი მინაშვილიც იზიარებს და ამბობს, რომ პარლამენტი ქუთაისში უნდა დარჩეს.

მინაშვილის მტკიცებით, საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერაზე საუბარი არ ყოფილა და არც იქნება.

„ქუთაისში პარლამენტის არსებობა დასავლეთ საქართველოს განვითარებას და ეკონომიკურ წინსვლას უკავშირდება. ამ საკითხზე პოლიტიკური „ვაჭრობა“ არ მოხდება, იმის მიუხედავად, რომ ვანო მერაბიშვილი და ბაჩო ახალაია პოლიტდევნილები არიან“, – დასძენს მინაშვილი.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრების განცხადებებზეა ნათქვამი „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო“, რადგან ერთის მხრივ, მათ პარლამენტის ქუთაისში დარჩენა სურთ, მეორეს მხრივ კი, საკომიტეტო მოსმენებზე სიარული არ უნდათ. გაცდენების თვალსაზრისით, უმცირესობის წევრებმა რეკორდი მოხნეს და ისინი რეგლამენტში არსებული ჩანაწერით სარგებლობენ და სხდომებს „ოჯახური მდგომარეობის მოტივით“ აცდენენ.

რაც შეეხება საკონსტიტუციო ცვლილებებს, უმრავლესობამ საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებები გასულ წელს მოამზადა, რომლის გათვალისწინებითაც, კონსტიტუციიდან 48-ე მუხლი ამოდის, სადაც პარლამენტის ადგილსამყოფელად განსაზღვრულია – ქუთაისი. იმის გამო, რომ უმრავლესობას საკონსტიტუციო ცვლილების მისაღებად 113 ხმა სჭირდება, საკანონმდებლო ორგანო ამ დრომდე ქუთაისში ფუნქციონირებს. თუმცა, for.ge-ს ინფორმაციით, შესაძლოა, მარტის ბოლოს კომიტეტები რუსთაველის გამზირზე არსებულ შენობაში გადავიდეს, ხოლო პლენარული სხდომები ისევ ქუთაისში გაიმართოს. თუ პარლამენტის აპარატი თბილისში დაბრუნდება, „ნაციონალური მოძრაობა“ მთავარ „კოზირს“ დაკარგავს.

თეონა მანაგაძე

◎ კონფლიქტის ზონა

ცხინვალთან ახლოს ქართულ სოფლებში გლეხები ხეხილს ჭრიან

საოკუპაციო გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში – ქორდში, დიცსა და არბოში – ადგილობრივი მოსახლეობა ვაშლის ხეებს ჭრის და გასათბობად იყენებს. ამ სოფელს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სარწყავი წყლის მიწოდება შეუწყვიტეს, სათავე ნაგებობები ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩა და დე ფაქტო ხელისუფლებამ ისინი გადაკეტა. ამ დროის განმავლობაში ხეხილის ბაღები გადახმა. ქორდის მცხოვრები თამაზ ჯალაბაძე საკუთარ ნაკვეთში გადამხმარ ხეებს თვითონვე ჭრის და საწვავად იყენებს. სახელმწიფოს მიერ 200-ლარიანი ენერგოვაუჩერები გლეხებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. მისი აზრით, სარწყავი წყალი რომ დროზე ჰქონოდათ, ხეხილი არ გახმებოდა.

ჯალაბაძეს არც მოსავალი აქვს და არც შემოსავალი. ადგილობრივმა გლეხმა წელს პირველად გადაწყვიტა, რომ საარსებოდ მცირეოდენი ვაშლი მეზობელ სოფლებში შეეძინა და ბაზარზე გაეყიდა. გლეხი რომ სოფელში ვაშლის ყიდვას დაიწყებს, იმ სოფლის საქმე წასულიაო, ამბობს ჯალაბაძე.

კონფლიქტის ზონის სოფლებში ყველაზე მეტად სარწყავი სისტემის მოწესრიგებას მოითხოვენ, რადგან იმ ბაღების მფლობელები, ვისაც ახალგაზრდა ნამყენები აქვთ ჩაყრილი, ფიქრობენ, რომ რამდენიმე გვალვის შემთხვევაში სოფლებში ხეხილი სანთლით საძებნელი გახდება. გარდა ამისა, ეს სოფლები გასულ წელს სეტყვამაც დააზარალა.

გორის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ხიდაშელი აცხადებს, რომ წელს გორის რაიონის სოფლების სარწყავი წყლით უზრუნველყოფის საკითხი გაუმჯობესდება, რადგან მიმდინარეობს სარწყავი სისტემების აღდგენა-გაწმენდა. გარდა ამისა, მისი თქმით, ოსურ მხარესთან მოლაპარაკება აქვთ წყლის გამოშვების თაობაზე.

რამდენიმე დღის წინათ შიდა ქართლში რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია იმყოფებოდა, რომელმაც განაცხადა, რომ მთავრობის პრიორიტეტი რეგიონში სარწყავი სისტემების აღდგენა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობაა. ქორდში, დიცსა და არბოში, ნაცვლად იმისა, რომ ხეხილს სხლავდნენ, ახლა ამ ხეხილის მოჭრით არიან დაკავებულები. კონფლიქტის ზონის სოფლებში პრობლემების სასწრაფოდ მოგვარებას ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, აქ მცხოვრები ადამიანები მძიმე სოციალური პრობლემების წინაშე აღმოჩნდებიან.

საცხოვრებელი ფართობის დაკანონებას მოითხოვენ

იძულებით გადაადგილებული პირები სახელმწიფოსგან საცხოვრებელი ფართების დაკანონებას მოითხოვენ. მთავრობამ დევნილებისთვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის პროცესი უკვე დაიწყო, მაგრამ ეს ჯერჯერობით ყველა დევნილს არ შეხებია. გორის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები ფართების საკუთრებაში გადაცემას მოითხოვენ. საბავშვო ბაღში მცხოვრები თამარ ცერაძე ამბობს, რომ პროცესის დაჩქარება აუცილებელია.

დევნილები მძიმე საცხოვრებელ პირობებზე საუბრობენ. მათი თქმით, დევნილთა შემწეობა კომუნალურ გადასახადებსაც არ ჰყოფნის, და სახელმწიფოს იძულებით გადაადგილებული პირების მიმართ მეტი ყურადღებისკენ მოუწოდებენ. საბავშვო ბაღებში მცხოვრები დევნილები მიიჩნევენ, რომ ხელისუფლება უფრო მეტ ყურადღებას კოტეჯებში ჩასახლებული დევნილების მიმართ იჩენს – მათ კომუნალურ გადასახადსაც უფარავს და სასურსათო პროდუქტებითაც ეხმარება.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შიდა ქართლის სამმართველოს უფროსი თამაზ გვიმრაძე არ უარყოფს, რომ ზოგიერთი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაცია, საკუთარი შეხედულებისამებრ, კონკრეტულ ოჯახებს ეხმარება, მაგრამ სახელმწიფო ყველა დევნილს თანაბარ პირობებში აყენებს. მისი თქმით, მთავრობის 200-ლარიანი ზამთრის დახმარება მხოლოდ უკიდურესად გაჭირვებულმა ოჯახებმა მიიღეს.

მარტიდან დევნილთა შემწეობა 28 ლარიდან 45 ლარამდე გაიზრდება. სამაგიეროდ, კომუნალურ გადასახადებზე ყველანაირი შეღავათი გაუქმდება.

გოგა აფციაური

◎ ალიან-ჩალიანი

11-კილომეტრიანი უსაფრთხოების ზონა აფხაზებისთვისაც შემაშფოთებელია

– ამის შესახებ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, კარგად იცის რაც ხდება იქ, რადგან აქვს კონტაქტები აფხაზურ მხარესთან.

„ზედმიწევნით კარგად ვიცი, როგორ გამოიყურება ყველაფერი ეს. რუსეთ-საქართველოს საზღვრის სიღრმეში, 11 კილომეტრის ზონაში არსებობს უსაფრთხოების ზონა, რომელიც თვალნათლივ არ ჩანს. შეიძლება ასე ვთქვათ, რომ 11-კილომეტრიან ზონაში მოქმედებს ე.წ. საკომენდანტო საათი. ანუ, რუს ოკუპანტებს, ჯარისკაცებს შეუძლიათ, იქ გააჩერონ ნებისმიერი ადამიანი, გაუჩხრიკონ ჩანთა, ან ბინაში შევიდნენ ამ 11-კილომეტრიან ზონაში. სხვა რამ ხილული ნიშნები, გარდა იმისა, რომ გზაზე შეიძლება იდგეს სამხედრო მანქანა, რომელმაც შეიძლება გააჩეროს სხვა მანქანა, არ ჩანს“, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

„ეს არის ოკუპაციური რეჟიმის გაგრძელება მიუხედავად იმისა, რომ ხილული ნიშნები იქ არაფერი არაა. მათი მხრიდან გაცხადებული იყო, რომ ეს რეჟიმი 21 მარტამდე გაგრძელდებოდა. ამას აკვირდება თვითონ აფხაზური საზოგადოებაც, იმიტომ, რომ ეს მათთვისაც დამაფიქრებელი და შემაშფოთებელია. გეტყვით, რომ ნამდვილად მოდის აფხაზეთიდან ასეთი სიგნალები,“ – დასძინა ზაქარეიშვილმა.

ინტერპრესი

◎ ხელოვანთა ბედი საქართველოში

გაჭირვება მაჩვენე და... ქუთაისიდან გოგი ჭიჭინაძის გაქცევას გაჩვენებო!

ამ დღეებში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ქუთაისის საოპერო თეატრის თავკაცის გოგი ჭიჭინაძის წერილმა, რომელსაც საყოველთაო განსჯის იმედით დღეს უცვლელად გთავაზობთ.

ჩემი კანდიდატურის წამოყენება და შემდგომ დანიშვნა ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად მოხდა იმ პროექტის განხილვის საფუძველზე, რომლის განხორციელების შემთხვევაში ქუთაისი გადაიქცეოდა საქართველოს უმთავრეს სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრად. ქუთაისის ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად მოღვაწეობის სურვილი გამიჩინა მუსიკალურ-საშემსრულებლო, საორკესტრო და საოპერო დარგის სავალალო მდგომარეობამ, ქუთაისის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა აქტიურობამ და მოტივაციამ. გარდა ამისა, ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევდა ის, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული ხედვა — ქუთაისის გადაქცევა საქართველოს სახელოვნებო, მუსიკალურ-საგანმანათლებლო ცენტრად, იქნებოდა პრიორიტეტული ამ ქალაქის ფუნქციონალური განვითარების რაკურსით, რაც უთუოდ ღირებულ კვალს გაავლებდა ქუთაისის კულტურული აღორძინების საქმეში.

ჩვენი პროექტი იყო თეატრის, უფრო ფართოდ კი, ქალაქ ქუთაისის კულტურული და საგანმანათლებლო განვითარების ოთხწლიანი საკმაოდ მაღალბიუჯეტიანი სტრატეგიული გეგმა, რომლის მოსალოდნელი შედეგი გაცილებით დიდ სიკეთეს მოუტანდა ქალაქს, ვიდრე მის განსახორციელებლად დახარჯული ფინანსური რესურსი იქნებოდა. ეს იყო განვითარების სტრატეგიულ გრძელვადიან ხედვაზე დაფუძნებული უპრეცედენტო პროგრამა თავისი კულტურული ფორმატითა და საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის შესაძლებლობებით, აქედან გამომდინარე, ის სცდებოდა რომელიმე კონკრეტული უწყების გადაწყვეტილების ფარგლებს და მოითხოვდა განზოგადებულ სახელმწიფო სტრატეგიასა და პოლიტიკურ ნებას, რათა ქუთაისის, როგორც ქალაქის სტატუსი შესაბამისობაში ყოფილიყო მოყვანილი მის ახალ ფუნქციასთან.

პროექტის პირველი წლის ბიუჯეტი იყო 17 მილიონი ლარი, რაც ოთხჯერ უფრო ნაკლებია გერმანიისა და იტალიის ნებისმიერი პატარა ქალაქის ოპერის თეატრის დაფინანსებაზე.

ჩვენი მიზანი იყო საერთაშორისო აღიარების მქონე თეატრის შექმნა, ვგეგმავდით საერთაშორისო შემოქმედებითი მისაღები კონკურსის გამართვას, რომლის საფუძველზეც, არსებულ შემოქმედებით რესურსთან თანხვედრით, დავაკომპლექტებდით მაღალი პროფესიული სინჯის კოლექტივს, რომელიც შეძლებდა საერთაშორისო აღიარების მოპოვებას.

პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, საკვანძო მიზანი იყო საორკესტრო საშემსრულებლო დარგის გადარჩენა და აღორძინება, რაც გამოიხატებოდა თეატრის ორკესტრის მუსიკოსების მიერ პედაგოგიური საქმიანობის წარმართვაში, რითაც ჩვენ შევძლებდით ეროვნული კადრების მომზადებას სამუსიკო სკოლების პირველი კლასიდან დაწყებული, უმაღლესი აკადემიური განათლების დონით დასრულებული, ანუ მუსიკალური განათლების ყველა საფეხურზე. ეს ერთხელ და სამუდამოდ მოხსნიდა საორკესტრო შემსრულებლების მწვავე დეფიციტს საქართველოში. საზღვარგარეთიდან ჩამოსულ მუსიკოსებს ექნებოდათ პედაგოგიური მოღვაწეობის ვალდებულება.

ამასთან, მოგეხსენებათ, რამდენიმე ათეული წელიწადია, რაც ტენდენციურად ხდება საუკეთესო საოპერო მომღერლების გადინება საქართველოდან — ქართველი მომღერლები ამშვენებენ მსოფლიოს სხვადასხვა ყველაზე პრესტიჟულ მუსიკალურ, საოპერო სივრცეებს. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ამ პროცესის შეჩერება, უფრო მეტიც, ისეთი მატერიალური ბაზის და შემოქმედებითი გარემოს შექმნა, სადაც დაბრუნდებოდნენ ქართველი ემიგრანტი ვარსკვლავები, ხოლო ის ახალი თაობა, რომელიც უკვე პოტენციური ემიგრანტია, დარჩებოდა საქართველოში.

პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრს ეყოლებოდა საერთაშორისო შემადგენლობის საოპერო დასი მუდმივი საკონტრაქტო თანამშრომლებით და დამატებით, გასტროლიორი სოლისტებით, რომლებიც მრავალფეროვნებას შესძენდნენ ყველა სპექტაკლს.

პროექტის განხორციელების შემთხვევაში თეატრი ყოველწლიურად შექმნიდა ახალ პროდუქციას, რომელზეც თეატრის შემოქმედებით კოლექტივთან ერთად იმუშავებდნენ საუკეთესო ქართველი და უცხოელი რეჟისორები, მხატვრები, დიზაინერები, რაც ხელს შეუწყობდა მაღალმხატვრული ღირებულების სპექტაკლების დამკვიდრებას თეატრის რეპერტუარში. ერთ-ერთ პრიორიტეტად გვესახებოდა ეროვნული მუსიკისა და ქორეოგრაფიის პოპულარიზაცია საქართველოსა და მსოფლიოში.

ჩვენთვის სრულიად გასაგები იყო ის ფაქტი, რომ ორკესტრის დაკომპლექტება საერთაშორისო კლასის მუსიკოსებით, რომლებიც ორკესტრში დაკვრის გარდა გაზრდიდნენ ეროვნულ საორკესტრო კადრებს, დაკავშირებული იყო სოლიდურ თანხებთან. იგივე შეიძლება ითქვას საოპერო და საბალეტო დასის მსახიობებზე, რომლებიც იქნებოდნენ მსოფლიო დონის არტისტები და მათ მიერ შესრულებული ყოველი სპექტაკლი იქნებოდა ღირებული არა მხოლოდ საშემსრულებლო, არამედ სანახაობრივი თვალსაზრისითაც.

იმთავითვე, ყველა დონის შეხვედრაზე ხაზგასმით, სრული სერიოზულობით ვაცხადებდი, რომ როგორც შემოქმედი და როგორც მოქალაქე, მხოლოდ ზემოთ აღნიშნული პირობების რეალიზაციის შემთხვევაში შევძლებდი სამხატვრო ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობათა და ცხადია, პროექტში დასახულ ამოცანათა სრულფასოვან აღსრულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ქუთაისის ოპერის თეატრში ჩემს ყოფნას არავითარი აზრი არ ექნებოდა, რადგან დანაპირებს ვერ შევასრულებდი.

ძალიან დიდი იმედი მქონდა, რომ ჩვენი პროექტი განხორციელდებოდა, მით უფრო, რომ ჩვენი პროექტი არაერთი ექსპერტის და, რაც მთავარია, ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლების მიერ იყო შესწავლილი და მოწონებული, რომელთა გამოცდილება და საქმიანი რჩევები ჩვენთვის იმთავითვე გასათვალისწინებელი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ფინანსური მხარდაჭერის არარსებობის გამო, მიხდება დაკავებული თანამდებობიდან — ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადადგომა. შესაბამისი განცხადებით უკვე მივმართე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს ბატონ მირიანე ოდიშარიას.

ვსარგებლობ შემთხვევით და გულწრფელ მადლობას ვუხდი თეატრის მთელ კოლექტივს, თითოეულ თანამშრომელს, ვისთან ერთადაც ხუთი თვის განმავლობაში მომიწია მუშაობა სამხატვრო ხელმძღვანელის რანგში, უწინარესად კი, მადლობას ვუხდი ქუთაისელ მსმენელებსა და მაყურებლებს მხარდაჭერისა და კეთილგანწყობისთვის, რასაც მუდამ ცხადად ვგრძნობ აგერ უკვე ორ ათეულ წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე.

უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით,

გოგი ჭიჭინაძე.
21 თებერვალი, 2014.

◎ ბერლინალე

ბახის პოლიფონიასთან გარითმული კადრები

ბერლინის 64-ე საერთაშორისო კინოფესტივალის ყველაზე გამორჩეული მოვლენა ლარს ფონ ტრიერის სახელს უკავშირდება, მისი ფილმის „ნიმფომანიაკის“ პრემიერას.

„მჭმუნვარე“ დანიელი გენიოსი, რომელიც კარგა ხანია, დეპრესიით იტანჯება, მის განქარვებას „ნიმფომანიით“ შეეცადა. მას შემდეგ, რაც კანის კინოფესტივალმა ლარს ფონ ტრიერს კარები გამოუჯახუნა და „პერსონა ნონ გრატად“ გამოაცხადა, რეჟისორზე ნამდვილი ნადირობა დაიწყო.

ბერლინალეს დირექტორი დიტერ კოსლიკი, კინომოყვარულები, რასაკვირველია, ბედნიერები არიან, რომ წლევანდელ საკონკურსო პროგრამაში ფონ ტრიერის ფილმი „ნიმფომანიაკი“ მონაწილეობდა. ფილმის პრემიერის შემდეგ, პრესკონფერენციის დაწყებამდე ურიცხვ ფოტოგრაფთა თვალწინ რეჟისორმა პიჯაკი გაიხსნა და წარწერა — Persona non grata გამოაჩინა. ეს გასაგები მესიჯი იყო! თავად პრესკონფერენციაზე რეჟისორი არ გამოცხადდა. სამაგიეროდ, იყვნენ შესანიშნავი მსახიობები: სტელან სკარსგარდი, უმა თურმანი, კრისტიან სლატერი და არაჩვეულებრივი სტეისი მარტინი, რომელსაც კინოკრიტიკოსები ამ მთავარი როლის შესრულების შემდეგ წარმატებულ კარიერას უწინასწარმეტყველებენ.

ფილმის 145-წუთიან ვერსიაში განსაკუთრებულია რეჟისორის დამოკიდებულება სამყაროს, სექსის, ადამიანის შინაგანი არსის, ოჯახის, მეცნიერების მიმართ. ეს თემები თითქოს კონცენტრირდება ცნობილი ნორვეგიელი მსახიობის სტელან სკარსგარდის მიერ განსახიერებულ პერსონაჟში, რომელიც ნიმფომანიაკი ქალის აღსარებას, მოვლენათა ურთიერთკავშირს, მიზეზშედეგობრიობას, ფილოსოფიას ბახის მუსიკის ჰარმონიითა და ფილოსოფიით ხსნის. ფილმის მთავარმა გმირმა ჯომ ბავშვობაში ქალის სხეულის ფიზიოლოგია ექიმი მამის სამედიცინო ნაშრომებითა და წიგნებით გაიცნო. უკვე მოზარდი გოგონა ამაოდ ცდილობს სექსის მეშვეობით ცხოვრების აზრის, დაბალანსებული, გაწონასწორებული ყოფის გაცნობას, შეგრძნებას. მისი მრავალფეროვანი სექსუალური ცხოვრება სავსეა სასოწარკვეთილებით, ტკივილით, სევდითა და უიმედობით.

პარადოქსია და, ალბათ, ირონიულიც, რომ სექსის ამსახველი კადრები გარითმულია ბახის ღვთაებრივ პოლიფონიასთან.

რეჟისორის ინტუიცია, რომ სამყარო ინტიმური კომპლექსებითა და გონებრივი საწყისით ერთდროულად იმართება — ეს ლარს ფონ ტრიერის ლაიტმოტივია და ფილმში ლოგიკურადაცაა ახსნილი.

როგორც თაყვანისმცემლებს, ისე მისი ესთეტიკის მოწინააღმდეგეებს ფილმი „ლიმფომანიაკი“ ერთდროულად აღაფრთოვანებს, აღიზიანებს, შესაძლოა, დეპრესიაშიც ჩააგდოს... მაყურებელი იფიქრებს, რომ ლარს ფონ ტრიერის ინტიმური სცენების სიჭარბე ფილმს „ხელს შეუშლის“. თუმცა, პირიქით — სწორედ ეს გაბედული ინტიმურობა, რომელიც პორნოგრაფიის ზღვარზე გადის, ფილმს ყველა რეჟისორისაგან განსხვავებულ მასშტაბს სძენს.

რეჟისორის წინა ფილმებისაგან განსხვავებით („გააპე ტალღები“, „დოგვილი“, „სიბნელეში მოცეკვავე“, „ანტიქრისტე“, „მელანქოლია“), ფილმში „ნიმფომანიაკი“ ჩანს რეჟისორის სრულიად ახლებური ხედვა. ადამიანის სულიერ და ფიზიკურ სამყაროში ის ტოლსტოისა და ბერგმანის მსგავსად საშიშ სიღრმეებში ჩადის, ცდილობს გაერკვეს ადამიანის კომპლექსებში.

დანიელი რეჟისორი ლარს ფონ ტრიერი, შეიძლება ითქვას, თანამედროვე ადამიანის კომპლექსებსა და სულიერი სიღრმეების მესაიდუმლეა და, ამავე დროს, მანიპულატორიც. სწორედ ეს მანიპულაცია განაპირობებს რეჟისორისადმი ზოგიერთი კრიტიკოსის უარყოფით დამოკიდებულებას.

არ შეიძლება ყურადღების მიღმა დაგვრჩეს შესანიშნავი სცენა! მშვენიერი უმა თურმანის მიერ გრანდიოზული ოსტატობით შესრულებული მიტოვებული ქალის როლი. უმა თურმანის გმირი 25 წუთი ჩნდება ეკრანზე და განუმეორებელ სახეს ქმნის დამცირებული, შეურაცხყოფილი, უკიდურესად ნერვებაშლილი, მოტყუებული ქალის, რომელიც სახლიდან წამოსულ ქმარს საყვარლის ბინაში სამ შვილთან ერთად „სტუმრობს“. იმდენად დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ეს სცენა მაყურებელზე, რომ ერთდროულად შეიძლება იცინო და იტირო.

აღსანიშნავია „ნიმფომანიაკის“ მეორე, უფრო მოზრდილი ნაწილი, რომელიც ეკრანებზე აპრილის ბოლოს გამოვა, რაც კინომანების ინტერესებს კიდევ უფრო აღვივებს.

ერთი რამ კი შეიძლება ნამდვილად ითქვას — ლარს ფონ ტრიერი „ნიმფომანიაკის“ მეორე ნაწილს კანის კინოფესტივალზე არ აჩვენებს.

ლია ვიტეკი, ჰელენე ვიტეკი.
ბერლინი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ანდრეი პიონტკოვსკი:

საქართველოს შემდეგ — უკრაინა, უკრაინის შემდეგ — ბალტიის ქვეყნები

კრემლი ისწრაფვის ხელში ჩაიგდოს უკრაინა და მოახდინოს ყირიმის ანექსია, დასავლეთს კი არ შეუძლია შეაკავოს რუსეთი, ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას პოლიტიკა ისეთივე უხერხემლოა, როგორც ევროკავშირის პოლიტიკა, ასე მიიჩნევს ცნობილი რუსეთელი პოლიტიკური ექსპერტი, მაიდანთან სოლიდარობის კომიტეტის ორგანიზატორი რუსეთში ანდრეი პიონტკოვსკი.

როდესაც აკეთებდა იმის პროგნოზს, თუ როგორ განვითარდება სიტუაცია უკრაინაში, პიონტკოვსკიმ აღნიშნა, რომ ვლადიმერ პუტინი უკან არ დაიხევს, და ამიტომ ბევრი ხალხი დაიღუპება. **„მაგრამ კრემლი ვერ მიაღწევს თავის პოლიტიკურ მიზნებს, და ეს იქნება პუტინის საგარეო პოლიტიკის გამანადგურებელი დამარცხება, რაც გავლენას მოახდენს რუსეთში საშინაო პოლიტიკურ პროცესებზე“,** — თქვა მან.

მისი სიტყვებით, თანამედროვე ევროკავშირმა, რომელსაც არა ჰყავს არც აშკარა ლიდერი, არა აქვს არც ზუსტი პოლიტიკა, შეიძლება ვერ გაუძლოს პუტინის მიერ დასახულ გეოპოლიტიკურ ექსპანსიას. ყველაზე დიდი პრობლემა დასავლეთისთვის იგივეა, რაც ჰქონდათ ჩემბერლენსა და დალადიეს, რომლებიც მიუნხენში „ამშვიდებდნენ“ ჰიტლერს: დასავლელ ლიდერებს არ ესმით რეჟიმის არსი და ეთამაშებიან დიქტატორს.

— რატომ დაიღვარა კიევში სისხლი, უკრაინა კი აღმოჩნდა სამოქალაქო ომის ზღვარზე? ძნელად რომ ვიქტორ იანუკოვიჩს ხიბლავდეს მოამარ კადაფის ბედი, რატომ აუნთო მან მწვანე შუქი სისხლიან ძალადობას?

— მოვლენები უკრაინაში დაიწყო, როგორც მშვიდობიანი ანტიკრიმინალური რევოლუცია, მაგრამ უკანასკნელ თვეებში უკრაინის ხელისუფლება სულ უფრო მეტად ამძაფრებდა კონფლიქტს და დაიწყო ძალადობა.

პირველი ასეთი შემთხვევა იყო შარშან 30 ნოემბერს, როდესაც ღამით მაიდანზე სცემეს სტუდენტებს. ხელისუფლების მეორე აღმაშფოთებელი მოქმედება იყო რეპრესიული კანონების მიღება, რომლებმაც გააუქმეს სიტყვის თავისუფლება და აამოქმედეს საგანგებო მდგომარეობა. ეს მოხდა 13 დეკემბერს.

ამჟამინდელი ძალადობაც ხელისუფლებამ გამოიწვია. თქვენ მართალი ხართ: თუ ხანგრძლივ პერსპექტივაზე ვილაპარაკებთ, იანუკოვიჩისთვის ეს არ არის ხელსაყრელი. მაგრამ მასზე ზემოქმედებას ახდენს ვლადიმერ პუტინი, რომელმაც გამოიწვია კიდეც კრიზისი უკრაინაში.

უკრაინის საზოგადოებაში ხომ იყო შეთანხმება ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით. ეს ხელშეკრულება საშუალებას მოგვცემდა უარი გვეთქვა კრიმინალური კაპიტალიზმის მოდელზე, კლეპტოკრატიაზე და შეგვექმნა თამაშის ახალი წესები, რომელიც ახასიათებს კონკურენტუნარიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემას.

პუტინმა არ აირჩია უხეში შანტაჟის გზა, როგორც ეტყობა, ხელთ ჰქონდა იანუკოვიჩის მაკომპრომეტირებელი მასალები. თავის მხრივ, პუტინის ეკონომიკური შანტაჟი გამოვლინდა საბაჟო ომით დამუქრებაში, აგრეთვე დაშინებაში შეეწყვიტა თანამშრომლობა უკრაინისთვის ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა საავიაციო მრეწველობა, შვეულმფრენების მშენებლობა, მეტალურგია, კოსმოსის კვლევა და სხვ.

დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის სპეციალური ქვედანაყოფები მონაწილეობენ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებში. ოთხშაბათს, თავისთვისაც გაუგებრად, რომ შეეშალა, უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა ვიტალი ზახარჩენკომ განაცხადა, რომ „ბერკუტის“ ხუთი წევრი დახოცეს სნაიპერული სროლების შედეგად.

— რა სცენარით განვითარდება, თქვენი აზრით, სიტუაცია უკრაინაში?

— თავისი ძალებით იანუკოვიჩი ვერ დათრგუნავს აჯანყებას. ვფიქრობ, მტერმა უკვე მოახდინა თავისი გეგმების კორექტირება. კრემლის პოლიტიკოსებს ესმით, რომ მთელი უკრაინა მათთვის — მეტად დიდი ლუკმაა. დასავლეთი უკრაინა, ისევე როგორც ლიტვა, ებრძოდა სტალინს მის გარდაცვალებამდე 1953 წელს. მას ახლაც შეუძლია ეფექტური წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთს. ამიტომ კრემლს იმედი აქვს გათიშოს უკრაინა.

ამჟამად კრემლი ცდილობს შექმნას საბაბი უკრაინაში შეჭრისთვის. რუსეთის დუმაში უკვე საუბრობენ იმის შესახებ, რომ საჭიროა დაიცვან უკრაინელი რუსები ქაოსისგან, ფაშისტებისგან და ა.შ. ვფიქრობ, კრემლის მიზანია — კონტროლი გაუწიოს აღმოსავლეთ უკრაინას.

მაგრამ კრემლი მაინც დიდად აჭარბებს, მიაჩნია, რომ აღმოსავლეთი უკრაინის მცხოვრებლებს, რუსულენოვანებსაც კი, უნდათ იყვნენ პუტინის ხელისუფლების ქვეშ. რასაკვირველია, რუსეთის ხელისუფლებას სურდა მოეხდინა უფრო ფართომასშტაბის ანექსია, მაგრამ მათი სცენარი ვარაუდობს სულ ცოტა ყირიმის ანექსიას.

ასე თუ ისე, პუტინი უკან არ დაიხევს. დაიღუპება ძალიან ბევრი ხალხი, მაგრამ კრემლი ვერ მიაღწევს თავის პოლიტიკურ მიზნებს, და ეს იქნება პუტინის საგარეო პოლიტიკის გამანადგურებელი დამარცხება, რაც გავლენას იქონიებს რუსეთში საშინაო პოლიტიკურ პროცესებზეც.

— თქვენ ამბობს, რომ უკრაინაში პუტინს დამარცხება ელის. მაგრამ ბევრი ექსპერტი დღეს საუბრობს ევროკავშირის დამარცხებაზე — მათ შორის, „ეკონომისტის“ მიმომხილველი ედუარდ ლუკასი.

— ლუკასი აბსოლუტურად მართალია. მე მხედველობაში მაქვს რუსეთის დამარცხება უფრო შორეულ მომავალში. თუ მხოლოდ ხანმოკლე პერსპექტივაზე ვისაუბრებთ, მაშინ პუტინი ჯერჯერობით სჯაბნის არა მხოლოდ ევროკავშირს, არამედ, საერთოდ, დასავლეთსაც.

დიახ, მან გაიმარჯვა სირიაში. დასავლეთს შეუგდო ქიმიური განიარაღების სათამაშო და ისე დააკანონა ბაშარ ალ-ასადი, რომელიც სამხედრო დამნაშავეა. მან საშუალება მისცა ასადს — გაეგრძელებინა სუნიტების გენოციდი.

თავის სისუსტეს აშკარად ავლენს ევროკავშირიც. ამ დღეებში ჟოზე მანუელ ბაროზუსთან და საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდთან საერთო პრესკონფერენციაზე კანცლერმა ანგელა მერკელმა დაიტრაბახა, რომ დაურეკა პუტინს და მოელაპარაკა ორმხრივი შუამავლობის შესახებ უკრაინაში. როგორ შეიძლება მოელაპარაკო ორმხრივ შუამდგომლობაზე ადამიანს, რომელმაც შექმნა ეს კრიზისი და გეგმავს მის გაგრძელებას, ცდილობს მიაღწიოს თავის გეოპოლიტიკურ მიზნებს?

პუტინისთვის ორმხრივი შუამავლობა მეტად სასარგებლო იქნებოდა, ვინაიდან დაეხმარებოდა დაეკანონებინა მისი მიზნები: უკრაინის დაყოფა, აღმოსავლეთი უკრაინის ხელში ჩაგდება და მისი რუსეთთან შეერთებაც კი და — ყირიმის ანექსია.

— რა არის, თქვენი აზრით, ევროკავშირის ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც არაადეკვატურ რეაგირებას ახდენს უკრაინის პრობლემაზე?

— ევროკავშირის ყველაზე დიდი პრობლემა — ეს არის იგივე, რაც ჰქონდათ ჩემბერლენსა და დალადიეს მეოცე საუკუნეში: მის ხელმძღვანელებს არ ესმით პუტინის რეჟიმის არსი. მათ კვლავ სწამთ „პარტნიორის“ პარადიგმა, ვისთანაც შეიძლება გქონდეს საერთო მიზნები და ღირებულებანი.

სირიაში ობამამ უბრალოდ არ იცოდა, თუ რა უნდოდა. პუტინმა კი იცოდა: შეინარჩუნებინა ხელისუფლებაში თავისი მოკავშირე ასადი. და პუტინმა თავის მიზანს მიაღწია. ამჟამად მან იცის, თუ რა უნდა უკრაინაში და მიზანსწრაფულად აღწევს თავის მიზნებს. ქალბატონმა მერკელმა კი არ იცის, თუ რა სურს მას უკრაინეაში.

სამაგიეროდ, მას სურს რუსეთთან კარგი ურთიერთობა და ეკონომიკური პარტნიორობა. იგი ვერ აღიქვამს პუტინის რეჟიმის დიქტატორულ ბუნებას. პუტინი სთავაზობს გერმანიას მიმზიდველ გარიგებებს, გერმანელ პოლიტიკოსებს აქვთ მიდრეკილება, არ შეამჩნიონ არც კორუფციის მასშტაბები რუსეთში, არც ის, რომ იქ იღვიძებს რასიზმი.

— რას ელოდება ასეთი ევროკავშირი?

— რუსეთის აგრესიაზე საქართველოში ევროკავშირმა მოახდინა რეაგირება მხოლოდ სიტყვებით. იმან, რომ ევროკავშირმა „გადახარშა“ რუსეთის მოქმედებები საქართველოში, მიგვიყვანა დღევანდელ მოვლენებამდე უკრაინაში.

თუ ევროკავშირი „გადახარშავს“ რუსეთის აგრესიასაც უკრაინაში და გახდება „ორმხრივი შუამავლობის“ თანამონაწილე, „აკურთხებს“ პუტინის მოქმედებებს უკრაინაში, როგორც ოდესღაც ეს გააკეთეს საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ, როდესაც „აკურთხა“ პუტინის აგრესია თბილისის წინააღმდეგ, შემდეგი სამიზნე იქნება ბალტიის ქვეყნები. თუ ევროკავშირს შეუძლია ორჯერ დაუთმოს, დაუთმობს მესამედაც.

ევროკავშირში არ არიან გამოჩენილი პოლიტიკოსები. მე უკვე აღარ ვსაუბრობ ისეთებზე, როგორიც იუნსტონ ჩერჩილი იყო: მარგარეტ ტეტჩერის დონის პოლიტიკოსებიც კი არ არიან. ასეთი ევროკავშირი ვერ გაუძლებს პუტინის გეოპოლიტიკურ ექსპანსიას. ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების კვალობაზე რუსეთში ამაღლდება ნაციონალიზმი, იმპერიალიზმი, გაძლიერდება ექსპანსიური მისწრაფებები. კრემლს დასჭირდება გეოპოლიტიკური გამარჯვებები, ერთ-ერთი პირველი კი იქნებოდა ყირიმის მიერთება.

„LRT“,
ლიტვა

დედამიწის ზურგზე

რუსი დეპუტატები აპირებენ, დაიცვან ყირიმი „პოლიტიკური ჩერნობილისგან“

რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის ლიდერმა ზიუგანოვმა სიტუაციას უკრაინაში უწოდა „არანაკლებ სახიფათო, ვიდრე ბირთვული ჩერნობილი“. ესერების ხელმძღვანელმა მironოვმა მოუწოდა, გამარტივებულად და სწრაფად მისცენ რუსეთის მოქალაქეობა ყველა მსურველ უკრაინელს, აგრეთვე, „შეიკედლონ“ „ბერკუტის“ მებრძოლები, ვისაც შეიძლება დევნა დაუწყონ. ყირიმში უკვე ჩივიან ზემოქმედებაზე და შანტაჟზე ახალი ხელისუფლების მხრიდან. ასეთ პირობებში აიღო სტარტი ქვეყანაში პრეზიდენტის არჩევნების კამპანიამ.

* * *

ლვოვის ოლქში შეძახილებით „დიდება უკრაინას — დიდება გმირებს“ ჩამოაგდეს კუტუზოვის ძეგლი

უკრაინაში, სადაც მიმდინარეობს ლენინის ძეგლების მიზანდასახული განადგურება, მიადგნენ სხვა ისტორიულ ფიგურებსაც. ნაციონალისტები, რომლებიც კუტუზოვის ბიუსტის ნაცვლად, ვინც უკრაინისთვის იბრძოდა, მოითხოვენ ძეგლი დაუდგან ბანდერას, ისინი მზად არიან დათანხმდნენ, აღიმართოს მონუმენტი მაიდანის გმირების აღსანიშნავადაც.

* * *

იტალიის სენატმა მატეო რენციის მთავრობას ნდობა გამოუცხადა

ნდობის ვოტუმს მხარი დაუჭირა 169 სენატორმა უმრავლესობის ზღუდის 155 ხმის დროს, წინააღმდეგ წავიდა სენატის 139 წევრი. კენჭისყრის საკითხი პრინციპული იყო, ვინაიდან დემოკრატიულ პარტიას, რომლის მდივანიც მატეო რენცია, სენატში არ აქვს უმრავლესობა. რენცი სენატის წინაშე გამოვა სხდომის დასაწყისში და დებატებში.

* * *

ისრაელის გამანადგურებლებმა სარაკეტო დარტყმა მიაყენეს ლიბანის ტერიტორიას: არიან დაღუპულები

არაბეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, დარტყმა მიაყენეს ლიბანის რადიკალურ დაჯგუფებას „ჰეზბოლას“ სოფელ ნაბი-შაიტის რაიონში. დაუდასტურებელი ინფორმაციით, ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების დარტყმის მიზანი გახდა ბადრაგი ბალისტიკური რაკეტებით, რომლის გადატანასაც ბოევიკები ცდილობდნენ სირიიდან ლიბანში.

SIC!

მობილური სიგარეტზე საშიშია

მეცნიერები თვლიან, რომ ფიჭური კავშირის ოპერატორები აბონენტებს სიმართლეს უმალავენ. მიაჩვიეთ ბავშვები მოიხმარონ მობილური ტელეფონები მხოლოდ ექსტრემალურ შემთხვევაში.

ათი წელი და ტვინი კვდება?

უკანასკნელ დროს კამათმა ადამიანებზე მობილური ტელეფონების მავნე ზემოქმედების შესახებ ახალი ძალით იფეთქა. მიზეზი გახდა სამეცნიერო-კლინიკური კვლევები, რომელთა შედეგები გამოაქვეყნა კიბოს წინააღმდეგ მებრძოლმა მსოფლიოში ცნობილმა ექსპერტმა, ნეიროქირურგმა, პროფესორმა ვინი კურანმა.

მეცნიერმა გააანალიზა 100-ზე მეტი ნაშრომი და აღმოაჩინა „მნიშვნელოვანი დასაბუთება (რომელთა რაოდენობა იზრდება), რომ მობილური ტელეფონებით სარგებლობასა და ტვინის კიბოს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. პროფესორის აზრით, ასეთი სიმსივნეები იგივეა, რაც სიკვდილის მისჯა: ის უმალ არ კლავს, მაგრამ დაახლოებით 10 წლის შემდეგ სიკვდილი გარდუვალია. ეს დრო სჭირდება არაკეთილთვისებიანი სიმსივნის განვითარებას. ის ნულამდე ამცირებს ოფიციალურ გარანტიებს, რომლებსაც საფუძვლად ედება ისეთი კვლევები, რომლებიც მობილურების ასეთი დიდი ხნით ზემოქმედების ეფექტს არ ითვალისწინებს“.

კურანა ასკვნის, რომ **მობილურები სიგარეტზე უარესია, რომლებიც წელიწადში 5 მილიონ ადამიანს კლავს. დღეს მობილურებით 5-ჯერ მეტი ადამიანი სარგებლობს, ვიდრე მწეველია. ამდენად, მისი პროგნოზებით, დანაკარგები ასეთივე პროპორციით გაიზრდება.**

პირველი სუსტი პანიკა მობილურების მოყვარულთა შორის დაიწყო 2000 წელს, როცა სერ უილიამ სტიუარტმა (დიდი ბრიტანეთის რადიოლოგიური დაცვის ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარე) მოულოდნელად განაცხადა, რომ მობილური ტელეფონები დადასტურებულად ხიფათს არ წარმოადგენს, თუმცა, ბავშვებმა ის რაც შეიძლება იშვიათად უნდა იხმარონ. მართალია, მას მოსახლეობის დამშვიდება სურდა, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი დაშინდა, ხოლო მეცნიერებში კამათი გაიზარდა.

უკვე შემდეგ წელს ამერიკელმა მეცნიერებმა განაცხადეს, რომ ბავშვის ტვინი 50-70 პროცენტით უფრო მეტ გამოსხივებას შთანთქავს, ვიდრე მოზრდილის ტვინი. მართალია, ამბობენ, რომ მიღებული სტანდარტების მიხედვით მობილურები უსაფრთხოა, მაგრამ სწორედ ამ სტანდარტებში ხედავს მთავარ საშიშროებას პროფესორი კურანა. ნეიროქირურგი ამტკიცებს, რომ ფიჭვური ოპერატორები ხალხს არწმუნებენ, რომ მობილურები თითქოს უხიფათოა, მაგრამ მხოლოდ ერთს გულისხმობენ: მისი გამოსხივება ტვინს არ ათბობს. ეს მართლაც ასეა, მაგრამ რეალური საფრთხე, საუბედუროდ, სითბოდან არ მოდის.

პროფესორი რონი სეგერმა (ვაისმანის სამეცნიერო ინსტიტუტი, ისრაელი) აღმოაჩინა, რომ **მობილური ტელეფონის გამოსხივება საშიშია, რაც არ უნდა მცირე სიმძლავრის გამოსხივება იყოს. ექსპერიმენტები მან ვირთხებზე ჩაატარა. ვირთხები სხივდებოდა 10-ჯერ ნაკლები სიმძლავრის ელექტრომაგნიტური ტალღებით, ვიდრე მობილურზე საუბრისას ადამიანი იღებს. შედეგად, ვირთხების ტვინში უჯრედების აქტიური მოქმედებები დაიწყო. ადამიანის ტვინში ასეთი პროცესები, როგორც წესი, ავთვისებიანი სიმსივნის განვითარებას იწვევს.**

აღმოჩნდა, რომ **5-წუთიანი დასხივების შედეგად ვირთხების უჯრედები გამოიმუშავებენ იმ ნივთიერებებს, რომლებიც უჯრედების დაშლის პროცესს სტიმულირებს, ისეთს, როგორიც კიბოს უჯრედებს აქვს. ტვინი ნამდვილად რეაგირებს მობილური ტელეფონის არასითბურ გამოსხივებაზე და ამაში მდგომარეობს ჩვენი გამოკვლევების არსი,** — აცხადებს მეცნიერი.

უფრო ადრე, ფინელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ **გამოსხივება ტვინის სისხლძარღვებს უფრო გამჭოლს ხდის და ამის გამო, თვით ტვინში ხვდება სხვადასხვა საწამლავი ნივთიერებები, რომლებიც ადრე „იფილტრებოდა“ და ორგანიზმიდან გამოიდევნებოდა.**

შემდეგ შვედები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ **10-წელზე მეტი სტაჟის მქონე მობილურების მომხმარებლებს ორჯერ უფრო ხშირად უნვითარდებათ სმენის ნერვის კიბო. ამასთანავე, ფინელებმა გამოიკვლიეს ადამიანები ნერვული სისტემის სიმსივნეებით და დაადგინეს, რომ ისინი, რომლებიც მობილურებით ხშირად და დიდხანს საუბრობენ, ალბათობა იმისა, რომ სიმსივნით დაავადდნენ, 39 პროცენტით მეტია იმ მხარეს, რომელზეც მობილურია მიდებული.**

სწორედ ეს და სხვა მსგავსი გამოკვლევები გახდა საფუძველი „დოქტორ კურანას განაჩენისა“, რომელიც, ცხადია, მობილური ტელეფონების ოპერატორებს არ მოეწონათ. ოპერატორების აზრით, პროფესორ კურანას დასკვნები ეწინააღმდეგება 30 დამოუკიდებელ სამეცნიერო და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის დასკვნებს, რომლებიც მობილურებისაგან მიყენებულ ზიანს ვერ ხედავენ.

თუმცა, **საფრანგეთის მთავრობამ მოუწოდა თავის ხალხს შეამციროს მობილური კავშირების გამოყენება, განსაკუთრებით, ბავშვებში. ამ მოწოდებას გერმანიაც შეუერთდა და გარემოს დაცვის საკითხებში ევროპულმა სააგენტომაც მხარი დაუჭირა.**

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

თითქმის ნატურიდან

სპონსორი

იმ ბაღში, სადაც ბენიტო ცხოვრებაში დაგროვილი დარდის გასაქარვებლად და არყის საყლურწავად დადის, ყოველდღიურად უამრავი პენსიონერი იყრის თავს. ჭამაგადაჩვეულ ხანდაზმულებს საქმე არაფერი აქვთ და მთელ დღეს უსაგნო კამათში ატარებენ.

— ამ დილას რადიოთი ამინდის პროგნოზი მოვისმინე, — ახარა ბენიტომ დამხვდურებს.

— მერე რაო, რას გვპირდებიან? — იკითხა თეთრწვერა, პიჯაკგამოხეულმა პენსიონერმა.

— საიმედოს ვერაფერს, გაზაფხულზე წვიმები და წყალდიდობები იქნებაო.

— მაგას ხომ მიჩვეულები ვართ, სხვა უფრო უარესი არაფერი დაგვატყდეს, თორემ...

— სხვა არაფერი უთქვამთ, — დაამშვიდა ბენიტომ ბერიკაცები, — ერთი ეგ დაამატეს, ამინდის პროგნოზის გამოცხადების სპონსორი „ბოთლერს ვირჯინია“ თუ ვიღაც ამდაგვარი ფირმა არისო.

— შენ რაღაც გეშლება, ბენიტო, — გაეღიმა თეთრწვერას, — „ბოთლერ ვირჯინიას“ კი არა, „ბოთლი და ჯორჯიას“ იტყოდა.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ტო, — შეუღრინა ბენიტომ, — აქ მთავარი სულ სხვა რამეა.

— მაინც რა?

— ისა რომა, ამინდის პროგნოზის გამოცხადებას ცალკე სპონსორი ჰყოლია. მარტო გამოცხადებას რო ცალკე სპონსორი დასჭირდება, თავად ამინდის პროგნოზს, როგორ ფიქრობთ, რამდენი სპონსორი ეყოლება? არ გიკვირთ, ხალხო, ამ გაჭირვებულ ქვეყანაში ამდენ სპონსორს სად შოულობენ?

— იი, მთლად გაუნათლებელი ყოფილხარ, — შეჰბედა ბენიტოს განაპირას მჯდომმა პენსიონერმა, — ამხელა კაცმა როგორ არ იცი, რომ ქვეყანა რაც უფრო გაჭირვებულია, სპონსორებით მით უფრო მდიდარია.

— ეგრეა, ეგრე, — დაუდასტურა მელოტმა პენსიონერმა, — ვერ ხედავთ, მას შემდეგ, რაც დემოკრატიის მშენებლობას შევუდექით, სპონსორიზაციაში არნახულ წარმატებას მივაღწიეთ. ჩვენს ახალგაზრდობაში ამ სიტყვას საერთოდ ვერ გაიგებდით, ახლა კი „სპონსორი“ ყველას პირზე აკერია.

— რაც მართალია, მართალია, გაუგებარ ყოფაში გვიხდებოდა ცხოვრება, — დაამატა ვიღაცამ, — წარმოგიდგენიათ, იმასაც კი გვიმალავდნენ, რომ კაცის გამოყენება თურმე ქალადაც შეიძლება და კაცადაც. აბა, ახლა ნახე ამ დარგში რა მიღწევები გვაქვს!

— მაგ საქმესაც თავის სპონსორი ეყოლება, არა? — დაინტერესდა მელოტი.

— აბა როგორ, ლგბტ-ელებს თურმე პარლამენტიდან ერთ-ერთი წამყვანი პარტია უწევს სპონსორობას. დღეს, ჩემო ძმაო, უსპონსოროდ კაცი ოყნასაც ვერ გაიკეთებს. ახლაც მახსოვს, ერთმა ჩემმა მეზობელმა, რომელიც პამიდვრით მოიწამლა, კუჭის ამოსარეცხად ვიდრე სპონსორს უპოვნიდნენ, სული როგორ განუტევა.

— სასწრაფოს ვერ გამოუძახეს?

— მაშინ სასწრაფო ფასიანი იყო და უსპონსოროდ ავადმყოფს ხელი არავინ მოჰკიდა.

— მაგას არ გეუბნებით? — თავი მოიწონა თეთრწვერა პენსიონერმა. — შოუ რომ შოუა, ნუნუკასი იქნება ის, ინგასი თუ მაიასი, იმასაც კი ჰყავს უამრავი სპონსორი. უწინარესად ვინა, არ იკითხავთ? მისი აღმატებულება რეკლამა, რომლის უკანაც ბევრი ფულიანი ბიზნესმენი იმალება.

— საიდან დაადგინე?

— ამას რა დადგენა უნდა, არ უყურებთ, თავად შოუ ორსაათიანია, რეკლამა კი — ორსაათნახევრიანი.

— არ თქვა ახლა, გოგოებს რომ ჭიპები უჩანთ, ეგეც დასპონსორებულიაო.

— შენც იტყვი რაღა, გამოსული კაცი ვარო. რაღა დროს ჭიპებია, ტო, გოგოები ახლა უკვე მუცლებსა და თეძოებს ასპონსორებენ.

— კაცო, ეგ კიდევ არაფერი, გოგოები უსპონსოროდაც გავლენ იოლას, მაგრამ მეცნიერებს რა ეშველებათ? — წუხდა ერთ-ერთი პენსიონერი.

— რაზე ამბობ?

— არ გაგიგიათ? აკადემიკოს მიქაუტაძეს გაზეთში სტატია მიუტანია გამოსაქვეყნებლად და სასტიკი უარი უტკეციათ.

— რატომ?

— ფულის გადასახდელად სპონსორი ვერ უპოვია და იმიტომ. თურმე აუხსნა რედაქტორს, სტატიაში ფრიად მნიშვნელოვან ეროვნულ პრობლემას ვეხებიო, მაგრამ სულ ფეხებზე დაუკიდიათ — ან ფული გადაიხადე, ან ის წერილი ჭორებსა და ინტრიგებზე ააგე, თორემ გამოქვეყნებაზე არც იოცნებოო.

— უყურე მაგათ! — გული მოუვიდა მელოტს, — ყველაფერში ფულის გადახდა სად გაგონილა?

— ნუ ბრაზობ, — დაამშვიდა ბენიტომ, — ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ასეა და თუ არ გვინდა, ნატოსა და ევროკავშირის კარი სამუდამოდ გამოგვიხურონ, ასეთ ცივილიზებულ გადახრებს აქედანვე უნდა მივეჩვიოთ.

— კაცო, ის არ გვეყოფა, მაგ ჩვენმა კეთილისმყოფელმა ევროპელებმა და ამერიკელებმა შიმშილს რომ მიგვაჩვიეს?

— არა, არ გვეყოფა, — კატეგორიულად განაცხადა ბენიტომ, — დანამდვილებით ვიცი, ამ სკამის სპონსორი, რომელზეც ვსხედვართ, თუ ახლავე არ მოვიძიეთ, მალე აქედანაც ჭიტლაყს ამოგვიჭერენ!..

ოტია ჩართოლანი

განცხადება

2014 წლის 23 აპრილს 15:00 საათზე, ოზურგეთის რაიონის სოფელი შრომას მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართება ადგილობრივი მნიშვნელობის ნატანები-შრომა-ურეკის საავტომობილო გზის მე-10 კმ-ზე მდინარე სეფაზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტის გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია, დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე:

- **გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურში, ქ.თბილისი, გულუას ქ. №6 (გზშ-ს ანგარიშის ამობეჭდილი ვერსია);**
- **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებგვერდზე: www.georoad.ge**
- **სოფ. შრომას მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (გზშ-ს ანგარიშის ამობეჭდილი ვერსია);**

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ მითითებულ საკონტაქტო პირებს; ლუიზა ბუბაშვილს, ტელ: 595219141 likabubashvili@yagoo.com და მედგარ ჭელიძეს 599162221

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

◎ სამგო

13 მედალი მინსკიდან

ბელარუსის დედაქალაქში დამთავრდა სამბისტთა მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი ამ ქვეყნის პრეზიდენტის თასზე. საქართველოს ნაკრებმა ამ ტურნირზე 13 მედალი მოიპოვა: 2 „ოქრო“, 3 „ვერცხლი“ და 8 „ბრინჯაო“.

ჩვენებურთაგან კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ზუგდიდელი ბესარიონ ბერულავა (74კგ) და მარტყოფელი დავით ლორიაშვილი (100კგ). ბერულავამ ფინალში ტიგრან კაზარიანი (უკრაინა) დაამარცხა, ლორიაშვილმა კი თანაგუნდელ ლაშა გურულს აჯობა. ვერცხლის მედლები, გურულის გარდა, ხაშურელმა დიმიტრი მულაძემ (52კგ) და ქარელელმა პაატა ღვინიაშვილმა (90კგ) დაიმსახურეს. მესამე ადგილებზე გივი ნადარეიშვილი (52კგ), გენადი ჩირგაძე (57კგ), ზვიად ოდოშაშვილი (62კგ), შმაგი ლაგაზაური (62კგ), ზაურ გაგნიძე (82კგ), ნიკო კუცია (82კგ), დავით კარბელაშვილი (90კგ) და გიორგი ნოზაძე (+100კგ) გავიდნენ.

ასპარეზობაში 12 ქვეყნის სამბისტები მონაწილეობდნენ. გუნდური პირველი ადგილი არავის დაუთმეს მასპინძლებმა, მეორე ადგილი ქართველებს, მესამე კი რუსებს ერგოთ.

გივი გაგუა

◎ მძლეოსნობა

სტამბოლსა და თბილისში

საქართველოს რამდენიმე მძლეოსანი სტამბოლში ბალკანეთის ქვეყნების ღია ჩემპიონატში მონაწილეობდა და ორი მათგანი ვერცხლის პრიზიორიც გახდა: ოლიმპიური თამაშების მონაწილე დავით ილარიანმა 60 მეტრი თარჯებით 7,8 წამში დაფარა და მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო სამხტომში ასევე მეორე იყო ლაშა თორღვაიძე — იგი 16,15 მეტრზე გადახტა.

1999-2000 წლებში დაბადებულმა გოგო-ბიჭებმა თბილისის მძლეოსნობის სასახლეში იასპარეზეს (ამ ასაკის სპორტსმენებს 2015 წელს თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში მოუწევთ გამოსვლა, ამიტომ მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია მათ დაოსტატებას დიდ ყურადღებას აქცევს). ჭოკით მხტომელმა დიანა ზოლოტუხინამ 272 სანტიმეტრით ქვეყნის რეკორდი დაამყარა. მაღალი შედეგები აჩვენეს აგრეთვე ბადრი ქიმაძემ (ბადრო, 46,3 მ) და ნინო წიქვაძემ (ორივე-თბილისი, ურო, 48 მ).

აქვე დანარჩენ დისციპლინებში გამარჯვებულთა ვინაობასაც გაგაცნობთ: **60 მ.** ელენე ტოლსტოვა (ოზურგეთი, 8,45), რომან ბადრიძე (თბილისი, 7,50), **200 მ.** საღომე მენთეშაშვილი (თბილისი, 28,00), დავით ლუკავა (ზუგდიდი, 24,89), **400 მ.** საღომე მენთეშაშვილი (1.03,26), გუჯა მახნიაშვილი (თბილისი, 56,68), **800 მ.** მარი ფხაკაძე (ჭიათურა, 2.29,85), გუჯა მახნიაშვილი (2.11,58), **1500 მ.** მარი ფხაკაძე (5.12,51), დავით აბესაძე (თბილისი, 4.39,74), **3000 მ.** მარი ფხაკაძე (12.19,68), დავით აბესაძე (10.09,71). **60 მ/თ.** ანა გუგუნიშვილი (თბილისი, 11.44), დავით ლუკავა (8,71), **სიგრძე.** ჯანეტ გოდაბრელიძე (თბილისი, 4,90), რომან ბადრიძე (5,95), **სიმაღლე.** მარი მნითური (155), ბესო სოხაძე (ორივე-თბილისი, 170), **სამხტომი.** ელისო დანელია (მარტვილი, 9,68), ირაკლი ბერუაშვილი (გორი, 11,86), **ჭოკი.** მიხეილ ცანავა (თბილისი, 3,00), **ბირთვი.** სალომე თურმანიძე (თბილისი, 10,28), გიორგი კეთილაძე (ხონი, 16,03), **ბადრო.** ნინო წიქვაძე (43,65), **ურო.** გიორგი ონიანი (თბილისი, 62,80),

4X200 მ. გოგონები. 1. თბილისი — I (1.56,36), 2. თბილისი — II (2.02,81), 3. მარტვილი (2.06,24). **ვაჟები.** 1. ბორჯომი (1.49,75), 2. თბილისი (1.49,93), 3. აჭარა (1.55,86).

ლექსო ცინცაძე

◎ მომავლის სახელით

ასე გამოიწრთობა ფოლადი

საქართველოს სასკოლო სპორტისა და საქართველოს კარატეს ეროვნულ ფედერაციებს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რაც მიზნად ისახავს ერთობლივი ძალებით და ურთიერთთანამშრომლობით ხელი შეუწყონ ქართული სპორტისა და ფიზიკური კულტურის განვითარებას, სპორტული სულის აღორძინებას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება-პოპულარიზაციას.

აღსანიშნავია, რომ მალე ანალოგიურ დოკუმენტზე ხელმოწერაა ნავარაუდევი ჩვენი ქვეყნის სასკოლო სპორტისა და ფუტსალის ფედერაციებს შორის, რაც, ვიმედოვნებთ, ასევე სასიკეთოდ წაადგება მომავალი თაობის სრულყოფილ ფორმირებას.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

„ბოლტებდაჭერილი“ რიჰანა

მსოფლიოში უსწრაფესი ადამიანის, იამაიკელი უსაინ ბოლტისა და პოპ-მომღერალ რიჰანას სავარაუდო ტრფობა უკვე რა ხანია ჩვენი პლანეტის ბულვარული პრესის განხილვისა და ჭორების საგნად იქცა.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ამ ერთი თვის წინათ უსეინმა სოციალური ქსელის „ტვიტერის“ საშუალებით ცნობილ მომღერალს სიყვარული აუხსნა და ამ სიყვარულის ახსნის მომსწრე ლამის მთელი მსოფლიო შეიქნა.

მიუხედავად იმისა, რომ „ყვითელ“ პრესას უსეინისა და რიჰანას ტრფობასთან დაკავშირებით ჯერ რაიმე მნიშვნელოვანი ხელჩასაჭიდი ფაქტი არ გააჩნია, თითქმის ყველა დარწმუნებულია, რომ უსეინ ბოლტი რიჰანას საწოლში უკვე ჩაუკოტრიალდა და „მოსახდენიც“ მოხდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ საფეხბურთო მოზაიკა

პლატინი: „ოქროს ბურთს“ რიბერი იმსახურებდა

უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ განაცხადა, რომ წლის საუკეთესო ფეხბურთელის წოდებას ყველაზე მეტად მიუნხენის „ბაიერნის“ შემტევი ნახევარმცველი ფრანკ რიბერი იმსახურებდა.

2013 წლის „ოქროს ბურთისთვის“ ბრძოლაში რიბერი მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელ კრიშტიანუ რონალდუსა და „ბარსელონას“ შემტევს ლიონელ მესის ჩამორჩა.

„რიბერის, რონალდუსა და მესის შორის ნებისმიერი ჯილდოს ღირსეული მფლობელი იქნებოდა, თუმცა, რიბერიმ ხომ „ბაიერნთან“ ერთად ყველაფერი მოიგო. ასე რომ, მას ხმას თავად მივცემდი. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ფრანგი ვარ. მე შემეძლო ხმა არიენ რობენისა და ბასტიან შვაინშტაიგერისთვისაც მიმეცა, თუმცა, ამჟამინდელი კრიტერიუმებით მუდმივად მესისა და რონალდუზე საუბრობენ“ — თქვა პლატინიმ.

კობა კობახიძე

სკოლარიმ სამხრეთ აფრიკისთვის 19 ფეხბურთელი დაასახელა

ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან გასამართი ამხანაგური მატჩისთვის შეკრებაზე გამოძახებულ მოთამაშეთა ვინაობა დაასახელა.

ბრაზილიის კონფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, სკოლარიმ შემდეგი ფეხბურთელები შეარჩია:

მეკარეები: ჟულიუ სეზარი („ტორონტო“, კანადა), ჟეფერსონი („ბოტაფოგო“).

მცველები: დავიდ ლუიზი („ჩელსი“, ინგლისი), დანტე, რაფინია (ორივე „ბაიერნი“, გერმანია), ტიაგუ სილვა („პსჟ“, საფრანგეთი), დანი ალვეში („ბარსელონა“, ესპანეთი), მარსელო („რეალი“, ესპანეთი).

ნახევარმცველები: ლუიზ გუსტავუ („ვოლფსბურგი“, გერმანია), პაულინიო („ტოტენჰემი“, ინგლისი), ფერნანდინიო („მანჩესტერ სიტი“, ინგლისი), რამირესი, ოსკარი, ვილიანი (ყველა „ჩელსი“, ინგლისი), ჰალკი (“ზენიტი“, რუსეთი), ბერნარდი („შახტარი“, უკრაინა).

თავდამსხმელები: ნეიმარი („ბარსელონა“, ესპანეთი), ფრედი („ფლუმინენსე“), ჟო („ატლეტიკუ მინეირუ“).

მომავალი მატჩი ნ მარტს სამხრეთ აფრიკის ქალაქ იოჰანესბურგში ჩატარდება.

ბეჟან დოლიძე

პუიოლი სეზონის დასრულების შემდეგ წავა

„ბარსელონას“ მცველი კარლეს პუიოლი სეზონის დასრულების შემდეგ გუნდიდან წავა. ამის შესახებ ესპანური პრესა იუწყება.

კატალონური კლუბის კაპიტანმა ეს რამდენიმე ფაქტორიდან გამომდინარე გადაწყვიტა. მას მუდმივი სათამაშო პრაქტიკა არ აქვს, რაც დიდწილად ტრავმებითაა განპირობებული. პუიოლი უკვე დიდი ხანია მუხლის ტკივილის გამო მთელი ძალით ვერ თამაშობს. მას ესმის, რომ დიდი დატვირთვების გაძლება უჭირს. გარდა ამისა, „ბარსას“ კაპიტანს სხვა ქვეყნის საფეხბურთო კულტურის გაცნობაც სურს.

მანუჩარ გიორგაძე



◎ სრული სვლით

ფალიაშვილის თეატრი თბილისსა და ბეირუთში

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი წარმატებით მონაწილეობს ალ ბუსტანის მუსიკისა და ხელოვნების 21-ე საერთაშორისო ფესტივალში. სწორედ თეატრის ორკესტრის კონცერტით გაიხსნა ფესტივალი 18 თებერვალს.

თბილისის ოპერის თეატრის მთავარი დირიჟორისა და ალ ბუსტანის ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელის ჯანლუკა მარჩანოს დირიჟორობით შესრულდა ანტონინ დვორჟაკის უვერტიურა „ბუნების წიაღში“ და მე-9 სიმფონია „ახალი სამყაროდან“, ნინო როტას სიუიტა, რობერტო მოლინელის „გაზაფხულის გული“ და „ქარბუქიანი ზამთარი“. სოლისტის ამპლუაში წარსდგა მსოფლიო აღიარების მქონე ბანდონეონისტი მარიო სტეფანო პიეტროდარკი. იგივე პროგრამა შესრულდა 20 თებერვალსაც.

22 თებერვალს თბილისის ოპერის თეატრის ორკესტრი ჯანლუკა მარჩანოს ხელმძღვანელობით სცენაზე ფრანგ მევიოლინესთან ალექსანდრა სუმთან ერთად გამოვიდა. პროგრამაში იყო ფელიქს მენდელსონის უვერტიურა „ჰიბრიდები“, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის სავიოლინო კონცერტი და პეტრე ჩაიკოვსკის პირველი სიმფონია.

კონცერტებმა დიდი წარმატებით ჩაიარა. ლიბანის მედიაში გავრცელდა სტატიები, შეფასებები. აი, მაგალითად: „კონცერტი გაიხსნა და დასრულდა დვორჟაკის საორკესტრო ნაწარმოებებით, რომლებიც სოლიდურად შეასრულა ჯანლუკა მარჩანომ. უწინარესი, რასაც ქართველების უნაკლო შესრულებამ მოჰფინა ნათელი, ისაა რომ დვორჟაკისეული ჰეროიკული თემები ნამდვილად ბეთჰოვენის ხსოვნის წინაშე ვალის მოხდაა...

...ამ საღამოს საკონცერტო პროგრამა იყო გამოწვევა, რომელმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, მაესტრომ და სოლისტმა მარიო სტეფანო პიეტროდარკიმ მოახერხეს სრული ჰარმონიის შექმნა“ — წერს ჯიმ ქუილთი („დეილი სთარი“).

ქართულ ორკესტრს ფესტივალის აუდიტორია 26 თებერვალსაც მოუსმენს. ამჯერად შესრულდება უვერტიურა კარლ მარია ვებერის ოპერიდან „ჯადოსნური მსროლელი“, პეტრე ჩაიკოვსკის მეოთხე სიმფონია, სოპრანო ჯოჰანი ფონ ოოსტრუმი იმღერებს რიხარდ შტრაუსის „ოთხ უკანასკნელ სიმღერას“.

ალ ბუსტანის ფესტივალის მსმენელეთა წინაშე ჩვენი ორკესტრი ბოლოს 28 თებერვალს წარსდგება — მევიოლინე სერგეი კრილოვთან ერთად დაუკრავს პეტრე ჩაიკოვსკის სავიოლინო კონცერტს, პროგრამაშია ასევე უვერტიურები ჯოაკინო როსინის ოპერებიდან „ვილჰელმ ტელი“, „სევილიელი დალაქი“, „კონკია“ და ჩაიკოვსკის უვერტიურა „ჭექა-ქუხილი“.

ყველა კონცერტს ჯანლუკა მარჩანო უდირიჟორებს.

ევროპის საფესტივალო ასოციაციის წევრის ალ ბუსტანის მუსიკისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის აუდიტორიის წინაშე თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი ამჯერად უკვე მეოთხედ წარსდგება (2011 წლიდან ყოველწლიურად მონაწილეობს ფესტივალში), რაც, ცხადია, გასულ წლებში მიღწეული დიდი წარმატების დასტურია.

წლეულს ფესტივალში პირველად მიიღებს მონაწილეობას თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი. 15 და 16 მარტს მაყურებელი იხილავს სპექტაკლებს „შოპენიანა“ და „მარგარიტა და არმანი“, სადაც მარგარიტას როლს პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი შეასრულებს, იგი ასევე იცეკვებს კამილ სენ-სანსის მომაკვდავ გედს.

გასტროლის მხარდამჭერია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

გასტროლის პარალელურად თეატრი არც თბილისელ მსმენელებსა და მაყურებლებს ტოვებს უყურადღებოდ: 27 თებერვალს და 6 მარტს 19 საათზე გიწვევთ კონსერვატორიის დიდ დარბაზში, სადაც საკონცერტო ვერსიით შესრულდება ჯუზეპე ვერდის ოპერა „ბალ-მასკარადი“.

ოპერის თეატრის გუნდს და სიმფონიურ ორკესტრს უდირიჟორებს დავით კინწურაშვილი. მთავარ პარტიებს იმღერებენ თეატრის სოლისტები: გიორგი მახარაძე (გრაფი რიკარდო), სულხან გველესიანი (რენატო), მაყვალა ასპანიძე (ამელია), ელენე ჯანჯალია (ულრიკა), ნინო ჩაჩუა (ოსკარი), ლეგი იმედაშვილი (სილვანო), ვანო გალუაშვილი (სამუელი), გოჩა დათუსანი-ჯიღაური (ტომაზო), თამაზ საგინაძე (მსაჯული).

4 მარტს 19 საათზე ისევ კონსერვატორიის დიდ დარბაზში, საკონცერტო ვერსიით აჟღერდება ჯაკომო პუჩინის ოპერა „ტოსკა“.

სპექტაკლს წარუძღვება თეატრის მთავარი დირიჟორი ჯანლუკა მარჩანო. მთავარ პარტიებს იმღერებენ: ხათუნა ჭოხონელიძე (ტოსკა), თეიმურაზ გუგუშვილი (კავარადოსი), ნიკოლოზ ლაგვილავა (სკარპია), კახაბერ თეთვაძე (ანჯელოტი), ვანო გალუაშვილი (მღვდელმსახური), იური ასლანიშვილი (სპოლეტა), ვახტანგ ჯაშიაშვილი (შარონე), ვანო ბუაძე (ციხის ზედამხედველი), ნათია ივანიაშვილი (მწყემსი).

28 თებერვალს 19 საათზე კი, თეატრის საბალეტო დასი გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრში წარმოადგენს პეტრე ჩაიკოვსკის ბალეტს „მაკნატუნა“.

გიორგი არაყიშვილი

◎ ინფორმაცია

გოჭკადილის კანიონი - ტურისტების სავიზიტო ბარათი

ამის შესახებ საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ხელმძღვანელმა რატი ჯაფარიძემ და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი სიგუამ მარტვილში, გოჭკადილის კანიონის მონახულებისას განაცხადეს.

მათი თქმით, დაგეგმილია ერთობლივი პროექტის ფარგლებში კანიონის ტერიტორიის კეთილმოწყობა, რაც ვიზიტორთა ცენტრის გახსნას, ავტოპარკინგის მოწყობას, მდინარეზე სასეირნო ნავებისთვის პირსის მშენებლობას, საფეხმავლო ბილიკების მოწესრიგებას, უსაფრთხოების ნორმებზე ზრუნვას, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას და სხვა ღონისძიებებს ითვალისწინებს.

ასევე, მარტვილის ცენტრში გაიხსნება ტურისტული საინფორმაციო ცენტრი, სადაც ვიზიტორებს ტურისტული ობიექტების და მარშრუტების შესახებ ინფორმაციას მიაწვდიან.

ტურიზმის ადმინისტრაცია და დაცული ტერიტორიების სააგენტო რეგიონში სხვა ერთობლივ პროექტებსაც განახორციელებს. რეგიონი ექსტრემალური და სათავგადასავლო ტურიზმის ცენტრად იქცევა.

ინტერპრესი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2014 წლის 23 აპრილს, 12 საათზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (მისამართი: ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. 127) გაიმართება შპს „ეკომედის“ სამედიცინო ნარჩენების საწვავი ღუმელის (ინსინერატორის) მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია თბილისის და მის შემოგარენში არსებული სამედიცინო დაწესებულებებში წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების გაუვნებლობის მიზნით საწვავი ღუმელის — ინსინერატორის მოწყობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

● გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა - ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. 127;

● შპს „ეკომედის“ ოფისში - ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ.№47. ტელ: 5 (99) 15 89 99;

● შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღის ვადაში.

შპს „ეკომედის“ ადმინისტრაცია

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

სანთელი

გივი ჯოგოს ძე ბერაია

აფხაზეთის საზოგადო მოღვაწეთა რიცხვს კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გამოაკლდა — გარდაიცვალა საქართველოს მწერალთა კავშირისა და ჟურნალისტთა კავშირის წევრი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი გივი ჯოგოს ძე ბერაია.

გივი ბერაია დაიბადა ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე. შემოქმედებითი საქმიანობა ადრეული სიყმაწვილიდან დაიწყო. მუშაობდა გულრიფშის რაიონულ გაზეთ „შრომაში“ კორესპონდენტად, სხვადასხვა თანამდებობები ეკავა გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქციაში, იყო აფხაზეთის ბეჭდვითი სიტყვის სამმართველოს ქართული გამოცემის მთავარი რედაქტორი, საქტელერადიომაუწყებლობის კორესპონდენტი აფხაზეთის რეგიონში. 1991 წლიდან 2010 წლის ჩათვლით მუშაობდა აფხაზეთის ლიტერატორთა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირის ორგანოს - ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ჟურნალ „რიწის“ რედაქტორად. 1993 წლიდან სოხუმის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციების კურსს ანტიკურ ლიტერატურაში. არის მეცნიერული ნაშრომის — „პოეტი, ლექსი, ექსპერიმენტი“ — ავტორი.

ჭეშმარიტი ქართული ლექსის თაყვანისმცემლებისათვის ცნობილია მისი ლექსების კრებულები: „პირველი თოვლი“, „სიმშვიდე“, „მგრძნობიარე გულის ბალადა“, „ელვის ვარდები“, „ნოსტალგიური“, „ხსოვნის მირაჟები“, „სხვა განზომილება“, ,,ტალღის ანაბეჭდები“.

სამშობლოს ბედი, უსაყვარლესი და მონატრებული აფხაზეთი მისი ყოველდღიური ფიქრი, ყოველდღიური გულისტკივილი იყო ბოლო ამოსუნთქვამდე რომ არ ასვენებდა...

მეტის მოსწრება უნდოდა, მეტის გაკეთება შეეძლო თავისი გამორჩეული ნიჭით, განათლებით, მაღალი ინტელექტით...

წავიდა და დატოვა კვალი ნათელი — წრფელი და ბოლომდე უღალატო.

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა,
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადო მოღვაწე და შესანიშნავი პოეტი , საქართველოს მწერალთა კავშირისა და ჟურნალისტთა კავშირის წევრი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი

გივი ჯოგოს ძე ბერაია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია, აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი პოეტი, გ. შარვაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ჟურნალ „რიწის“ ყოფილი მთავარი რედაქტორი

გივი ბერაია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველი – დაზარალებული მგზავრი



როცა ავტორს მუხრუჭი ღალატობს... ხოლო რედაქტორი წითელზე გადადის!

ჩვენი ჟურნალ-გაზეთების წამკითხველს ან ტელევიზორის შემყურეს ხშირად მიფიქრია, ნეტავი სულ არ წამეკითხა, ნეტავი სულ არ მეყურებინა-მეთქი, ანდა რადიოს უხამსი გადაცემის მოსმენისას ყურების არქონა მინატრია.

ღმერთმანი, ნამდვილად დიდი ჯაფა ადგას ამ ბოლო დროს ჩვენს საცოდავ თვალებსა და ყურებს, იმდენი ბოროტი სისულელის წაკითხვა და მოსმენა უწევთ... თუ კარგად დაუკვირდებით, მასმედიის სიყვითლე თანდათან ადამიანებსაც დაეტყოთ სახეზე, რაც მარტო საკვების გაძვირებით არ უნდა იყოს გამოწვეული და, ალბათ, არც მარტო დოლარის მაღლა-მაღლა ფრენას უნდა დავაბრალოთ, თუ ბევრ ჩვენს მოქალაქეს სიყვითლე თანდათან სიმწვანეში გადადის...

აქვე კიდევ ერთი დაკვირვებაც უნდა გაგიზიაროთ... რაც ეს ჩვენი პლანეტის ასაკის ქართველთა მზეუხვი ქვეყანა თავისუფალი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული გახდა, ხალხისა და მთავრობის ლოყების ურთიერთშეფარდებამ აშკარად თანაზომიერება დაკარგა. რა სისწრაფითაც ჩვენი მთავრობის წევრებს ლოყები და კისრები ეზრდებათ, ორჯერ მეტი სისწრაფით უჭკნებათ და უწვრილდებათ ლოყებიცა და კისრებიც ჩვენს მოქალაქეებს, რომელთა კავშირიც აგერ ახლახან შექმნა ჩვენმა პირველმა ქართველმა მილიარდერმა, თავად რატომღაც ყველაზე ლოყებდამჭკნარმა და კისერდაწვრილებულმა. თუმცა, ყველას დიდი იმედი გვაქვს, რომ **„მოქალაქე“** მალე თავის ლიანდაგებზე გადმოიყვანს ქვეყნის არნახული აშენებით „დამუქრებულ“ მთავრობასაც, რომელიც ჯერჯერობით, დიდად სამწუხაროდ, ნაციონალებს პოლიტიკურ ხალიჩაზე ქვეშა ჰყავთ მოქცეული...

აი, ახლა კი მართლა გამექცა კალამი... ღმერთი, რჯული, სულ სხვა რამის თქმას ვაპირებდი და იმდენად გაპოლიტიკურებული ვარ, კინაღამ დამავიწყდა სათქმელი.

თავში თვალებისა და ყურების შესახებ მოგახსენებდით. თვალებისა და ყურების არქონას კი ხანიცით რა მანატრებინებს ხოლმე? აი თუნდაც ერთი ასეთი რამ... ამ დღეებში ერთ ნაირფერად აჭრელებულ ყოველკვირეულში **(„კვირის პალიტრა“)** ამ დასაბრმავებელი თვალებით წავიკითხე, რომ „დიდი ადამიანები ზოგჯერ სულელურ ამბებს ეწირებიან“... (ეს სათაურია) და **„ერთი ვერსიით, მაჩაბელი ილიამ** (ჭავჭავაძეზეა ლაპარაკი – **გ.წ.**) მოაკვლევინა და მერე აკაკი (წერეთელზეა ლაპარაკი – **გ.წ.**) დაეხმარა გვამის დაწვაშიო“ და მუხრუჭმოშლილი ავტორი ჩაძინებული რედაქტორის იმედით პირდაპირ წითელზე უბერავს: **„სამწუხაროდ, დიდი ადამიანები ზოგჯერ სულელურ ამბებს ეწირებიან** (უკვირდებით, როგორ აძლიერებს სათაურს! – **გ.წ.**), **მაგალითად, საკუთარი ცოლის მოარშიყისადმი მოქნეულ მძიმე უთოს (ასე ითქვა მაჩაბლის გარდაცვალების შემდეგ. სწორედ ეს ვერსიაა გატარებული როსტომ ჩხეიძის პიესაში „26 ივნისის საიდუმლო“, რომელიც დოკუმენტური ჩანაწერების საფუძველზე შეიქმნა)“.**

აი, ასე, თითქმის საუკუნეზე მეტი ხნის ბოროტი ჭორის სენსაციად მონათვლის წყურვილით შეპყრობილი მუხრუჭმოშლილი ავტორი მარტო დიდ ადამიანებს კი არა, ჩვენც, უამრავ მკითხველსაც, მართლაც რომ სულელურ ამბებს გვწირავს და ამ თავის „ნასიბრძნს“ ერთგვარ ლიტერატურულ კვლევადაც კი მიიჩნევს. თანაც კიდევ, ეს სულელური ამბავი რომ შეიტყო, გაზეთის საფასურად ერთი ლარი უნდა გადაიხადო.

დაჯერებით კი, მოგეხსენებათ, საბედნიეროდ, დაბეჭდილ სიტყვას ჯერჯერობით კიდევ ბევრი იჯერებს და ამ დამჯერებელ მკითხველთაგან, წარმოგიდგენიათ, რამდენი შეშფოთდება და გაკვირვებული იტყვის: აი ესეც შენი ილია ჭავჭავაძე, ესეც შენი აკაკი წერეთელი... უსინდისოები, ვანო მაჩაბლის მკვლელები ყოფილანო...

ამ გაბრაზებულ გულზე და ილიასა და აკაკიზე ხელჩაქნეული მკითხველი ახლა მეორე ყოველკვირეულს გადაშლის („Weekend“) იმის იმედით, რომ იქნებ იქ მაინც რამე ნახოს ცოტა გულის დამამშვიდებელი (ეს უკვე ორლარიანი ყოველკვირეულია) და რედაქტორის თანხმობით პოეტი ასეთ რასმე სთავაზობს:

„მივემგზავრები სოჭში
სადაც გამოსვლას ვარჩევთ,
რომ იქ მოვიტყნათ პროჭში
და კმაყოფილი დავრჩეთ!“

აი, გაბრწყინებული საქართველოს მოლოდინით დაღლილო, დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყნის ამაყო მოქალაქე-მკითხველო, როგორ, რა დონეზე ზრუნავენ, რომ შენ მატერიალურად ვერა, მაგრამ სულიერად კმაყოფილი დარჩე...

გურამ წიკლაური

ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაყურებინოთ ვარსკვლავებიანი

რა უფლებებს უზრდიან მარგველაშვილს?

როგორც პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე ამბობს: – ეს ცვლილება არანაირად არ შეეხება აღმასრულებლის უფლებამოსილებებს. პრეზიდენტს, როგორც დღეს არ აქვს აღმასრულებელ ხელისუფლებაში მონაწილეობის მიღების უფლება, ასევე არ ექნება, გარდა იმ ერთადერთი შემთხვევისა, რომ მოითხოვოს მთავრობისგან რაღაც საკითხების განხილვა და თავადაც მიიღოს მონაწილეობა ამ საკითხების განხილვაში. მეორე არის უშიშროების საბჭოს ფორმატთან დაკავშირებული საკითხები. აქ ის გარკვეულ საკითხებს მიმოიხილავს და რეკომენდაციებს აძლევს უშიშროების საბჭოს, რომლის წევრებიც არიან პრემიერი და მინისტრები.

„ალია“

„ეს პროექტი მოიტანს რეალურ აყვავებას სვანეთის რეგიონისთვის“

– დარწმუნებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, – მე მესმის იმ ადამიანების მღელვარების მიზეზი და შეშფოთება. მათ, ვინც ეწინააღმდეგება ხუდონჰესის მშენებლობას, ჯერ კიდევ აქვთ კითხვები ამ პროექტთან დაკავშირებით. მათ უნდა განვუმარტოთ, რა სარგებლობას მოუტანს, რა რისკები არსებობს, რამდენად პერსპექტიული და სასარგებლოა მათი შვილებისთვის, მათი მომავლისთვის. ასევე მათი პრობლემების გადაჭრის რეალური გზები უნდა გამოინახოს... ეს პროექტი მოიტანს რეალურ აყვავებას სვანეთის რეგიონისთვის – ძალიან დიდ შემოსავალზეა საუბარი... ჩვენ ერთად უნდა დავარწმუნოთ ეს ხალხი...

„ძრონიკა“

15-ლარიანი ხელფასი – პედაგოგებს, 60-ლარიანი – სანიტრებს

გურჯაანში მუსიკალური სკოლის პედაგოგების გარკვეული ნაწილი თვეში 15 ლარს იღებს, სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული სანიტრების ყოველთვიური ანაზღაურება ხშირ შემთხვევაში, 60-70 ლარს არ აღემატება. ძალიან ხშირია შემთხვევა, როდესაც დამსაქმებელი დასაქმებულს საარსებო მინიმუმზე დაბალ ხელფასს უხდის. ეს იმის ბრალია, რომ საქართველოში მინიმალური ხელფასის ცნება არ არსებობს.

„რეზონანსი“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ცინცხალი ანეკდოტები

– ჩემო კარგო, თქვენ უკვე 23 თვის ორსული ხართ, – ეუბნება ქალთა კონსულტაციის ექიმი პაციენტს.

– დარწმუნებული ხართ, ექიმო?

– დიახ.

– ზუსტად 22-ის და არა 27-ისა?

– სწორედ ასეა.

– ღმერთო ჩემო! თურმე სხვას გავყოლილვარ ცოლად...

* * *

– როცა მოინდომებ, ხომ შეგძლებია, შე საძაგელო! – უთხრა ცოლმა ქმარს, რომელსაც მეზობლის ქალთან წაასწრო...

* * *

– მამი, დახუჭე თვალები! – ეუბნება პატარა მიხო მშობელს.

– რათა, შვილო?

– დედა მეუბნება, როცა მამაშენი თვალებს დახუჭავს, მე და შენ უკეთ ვიცხოვრებთო.

* * *

– ჩემი ქმარი ძალიან არააკურატული ვინმეა, არასოდეს არ დადებს ნივთებს თავის ადგილას. გუშინ მთელი საათი ვეძებდი მის საფულეს.

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ბაშაკიძე 514 33-33-24